საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

1407

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი 14 თებერვალი 1941 წ. № 37 (6042) ფასი 10 კაპ.

სოციალისტური საკუთრების საგუშაგოზე

მეურნეობის სოციალისტური სისტემა და საწარმოო იარაღებისა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება სსრ კავშირის ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენენ. სტალინური კონსტიტუციის 131 მუხლში ნათქვამია:

„სსრ კავშირის თვითეული მოქალაქე ვალდებულია გაუფრთხილდეს და განამტკიცოს საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება, როგორც საბჭოთა წყობილების წმინდათა-წმინდა და ხელშეუხებელი საფუძველი, როგორც სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების წყარო, როგორც ყველა მშრომელის შეძლებული და კულტურული ცხოვრების წყარო".

პარტიის XVIII ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხანაგი სტალინი ლაპარაკობდა სოციალისტური საკუთრების დაცვაზე, როგორც ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციაზე.

საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრების დაცვა და განმტკიცება ყოველი საბჭოთა მოქალაქის მოვალეობაა. სახალხო დოვლათის დაცვისა და გამრავლებისათვის ბევრად უფრო დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ ჩვენს [illegible]

სხვებისათვის, მიყიდვის, გადაცვლისა და გაცემის აკრძალვის და ამ უკანონო მოქმედებისათვის სასამართლო პასუხისგების შესახებ". ამ ბრძანებულებაში, რომელიც „პრავდის" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ ეგრეთწოდებული დემონტირებული და ზედმეტი მოწყობილობის გაყიდვა, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, ნამდვილად სხვა არა არის რა, თუ არა **სოციალისტური საკუთრების შენიღბული დატაცება.** ზედმეტად და გამოუყენებლად აღმოჩენილი მოწყობილობისა და მასალების სხვებისთვის მიყიდვასა, გადაცვლასა და გაცემაში დამნაშავე პირები, აგრეთვე ის პირები, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ამ ქონების უკანონოდ შეძენაში, მიცემულ უნდა იქნან სამართალში და სასამართლოს განაჩენით მათ უნდა მიესაჯოთ პატიმრობა ვადით 2-დან 5 წლამდე.

დღემდე ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელები, უპირდაპირებდნენ რა ვიწრო-საქარხნო ინტერესებს საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს, მიდიოდნენ საქონლის გაცვლის უკანონო ოპერაციებზე და ჰყიდდნენ ვიზედაც კი [illegible]

ფონდო მასალები, რაც სახელმწიფოსაგან საწარმოს საჭიროებისათვის იყო მიღებული, სხვებს მიჰყიდეს. ტრესტმა „ვოლოგდოლესმა" საქონლის გაცვლის ოპერაციებზე ხელშეკრულება დასდო მშენებლობის სახალხო კომისარიატის № 9 სამშენებლო - სამონტაჟო ტრესტთან. „ვოლოგდოლესი" უკანონოდ ჰყიდდა ხე-ტყეს სამშენებლო ტრესტზე, რომ ამის სანაცვლოდ მიეღო რელსები, რკინა, მავთული, სპეცტანსაცმელი.

ახლა ამგვარი მოქმედება დაისჯება ჩვენს ქვეყანაში როგორც ისეთი დანაშაული, რომელიც სოციალისტური საკუთრების დატაცებას უდრის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 10 თებერვლის ბრძანებულებით დაადგინა, რომ საწარმოებში არსებული მთელი ნამეტი მოწყობილობა, აგრეთვე ზედმეტად აღმოჩენილი და გამოუყენებელი მასალები სპეციალურად უნდა აღირიცხოს და გადანაწილდეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით. სამეურნეო მუშაკებმა, სახელმწიფო საწარმოთა, მომმარაგებელ ორგანოთა ხელმძღვანელებმა უნდა შე- [illegible]

[illegible]

მოწყობილობა, რომელიც ექსპლოატაციაში არ იყო... [illegible] მონტი ესაჭიროება, ეგრეთწოდებულ დემონტირებულ მოწყობილობას. შარშან „რემმაშტრესტმა" „ზედმეტი" და „დემონტირებული" ლითონმჭრელი მოწყობილობიდან გაჰყიდა 5.416 დაზგა. მაგრამ აქედან მხოლოდ 1.121 დაზგა გაიყიდა სახელმწიფო გეგმით, დანარჩენი 4.295 დაზგა კი ფაქტიურად განიავებულ იქნა და არ მოხვდა იმ საწარმოებში და მრეწველობის იმ დარგებში, რომელთა უზრუნველყოფასაც სახელმწიფო პირველ რიგში სთვლის საჭიროდ.

გამოუყენებელი მოწყობილობა და მასალა მოითხოვს ზუსტ აღრიცხვას და გეგმიან გადანაწილებას. ამიტომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 10 თებერვალს გამოსცა ბრძანებულება „მოწყობილობის და მასალების

სხვებს აძლევდნენ ნავთის პროდუქტებს — ნავთობს, ბენზინს, ლიგროინს, ნავთის და ფანდირებულ მასალას — ცემენტს, აგურს და სხვ. ამ საწარმოთა მუშაკებს, როგორც სჩანს, დაავიწყდათ, რომ ისინი არიან სახელმწიფოს მიერ ნდობით აღჭურვილი პირები, და უხეშად არღვევდნენ მის ინტერესებს.

სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის მიერ ჩატარებული რევიზიებისა და შემოწმების შედეგების შესახებ იმ ცნობაშიც, რომელიც დღევანდელ „პრავდაში" გამოქვეყნებული, მოყვანილია მასალების აშკარა განიავების ფაქტები. მაგალითად, პოშის სპილენძელექტროლითის ქარხანაში 60 ტონა ცემენტი, 44 ტონა მაზუთი და სხვა სა-

ტუილად არ დაიკარგოს. ამხანაგი სტალინი მოითხოვდა „მივიღოთ მთელი რიგი ისეთი ზომები, რომლებსაც შეეძლებათ დაიცვან ჩვენი დაგროვება დაქსაქსვისაგან, დატაცებისაგან, არასაჭირო არხებში გაშვებისაგან, ჩვენი ინდუსტრიის მშენებლობის ხაზიდან მისი დაშორებისაგან".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 10 თებერვლის ბრძანებულება დგას სოციალისტური საკუთრების საგუშაგოზე და წარმოადგენს აღრიცხვისა და გეგმიანობის განმტკიცების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას სახალხო მეურნეობის შემდგომი ზრდის ინტერესებისათვის.

„პრავდის" მოწინავე, 12/II.

სსრ კავშირის პროკურატურაში

პროკურატურის ორგანოებმა დაამთავრეს გამოძიება სამრეწველო საწარმოთა მიერ ცუდი ხარისხისა და არასტანდარტული პროდუქციის გამოშვების შესახებ აღძრული ზოგიერთი საქმის გამო. ეს საქმეები სასამართლომ უკვე განიხილა; დამნაშავეებს მიესაჯა პატიმრობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაწესებული ვადებით.

ყველა ამ საქმეში ტიპიურია ის, რომ ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვების მიზეზებია ტექნოლოგიური დისციპლინის უხეშად დარღვევა და ხარისხის კონტროლის დანაშაულებრივი ორგანიზაცია. წუნს, უწინარეს ყოვლისა, იწვევს უდისციპლინობა, თავაშვებულობა და ტექნოლოგიური მოთხოვნებისადმი დაუდევარი დამოკიდებულება.

მძიმე მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის ვოროშილოვგრადის ოლქის რუდის სახელობის ქარხანა სხვადასხვა პროფილისა და ზომის ქლიბებს ამზადებს, რომლებითაც მძიმე მრეწველობის უდიდეს საწარმოებს ამარაგებს. ამ ქარხნის ხელმძღვანელთა სრულმა უპასუხისმგებლობამ და პროდუქციის ხარისხისადმი ანტისახელმწიფოებრივმა დამოკიდებულებამ ის გამოიწვია, რომ მოკლე ვადაში რუდის სახე- [illegible]

დნენ იმას, რომ დამუქრებოდნენ და დაეშინებინათ ტექნიკური კონტროლის განყოფილების ის მუშაკები, რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას, ამჟღავნებდნენ წუნს და წინააღმდეგობას უწევდნენ საწარმოდან წუნის გაშვებას. იყო შემთხვევა, როდესაც მთავარმა ინჟინერმა ტკაჩენკომ, რომელიც ცდილობდა რადაც უნდა დასჯდომოდა გაესაღებინა წუნი, თვითნებურად გაასწორა ნახაზები და ამ გზით მოატყუა ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკები.

ზაიცევი და ტკაჩენკო ყოველი ძალღონით ცდილობდნენ მიეღებინებინათ შემკვეთთათვის ცუდი ხარისხის პროდუქცია, ვალდებულებას ასრულებდნენ მათ წინაშე, რომ პროდუქციას შეაკეთებდნენ ან ამათუიმ ნაწილს გამოუცვლიდნენ. მაგრამ ბევრჯერ ეს ვალდებულებაც არ შეუსრულებიათ.

წარსული წლის 10 ივლისის ბრძანებულების საფუძველზე მათ მიესაჯათ: ზაიცევს—5 წლის, ხოლო ტკაჩენკოს 6 წლის პატიმრობა.

ხარისხის კონტროლის დანაშაულებრივი ორგანიზაცია გამომჟღავნდა კურსკის მოტოსარემონტო ქარხანაში. ამ ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფ- [illegible]

ახალი გამარჯვებებით შევხვდეთ XVIII პარტკონფერენციას

ორდენოსან შ. ხიზანაშვილის ბრიგადამ ორი თვის გეგმა შეასრულა

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კომკავშირულმა, მესამე კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელსაც ორდენოსანი ზეინკალი ამხ. შ. ხიზანაშვილი ხელმძღვანელობს, 12 თებერვლისათვის შეასრულა იანვარ-თებერვლის საწარმოო დავალება.

ამ ბრიგადამ XVIII პარტკონფერენციის სახელობის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება ვადაზე და მაღალხარისხოვნად შეასრულა.

ბრიგადის წევრები, ზეინკლები ამხ. დ. ჭავჭანიძე, ვ. კიკნაძე, ი. ქიქილაშვილი, გ. ჩქარეული, ნ. ლელაშვილი, ხ. იმოსიანი, ბ. ტურაშვილი, ს. ხარებავა კომკავშირლები არიან, ისინი დავალებას 200-250 პროცენტით ასრულებენ.

ბრიგადის წარმატება მით უფრო საყურადღებოა, რომ აქ 15 კაცის ნაცვლად 10 კაცი მუშაობს და ორი თვის გეგმა თვესა და თორმეტ დღეში შეასრულეს.

ახალი საწარმოო აღმავლობით

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები ახალი საწარმოო აღმავლობით ხვდებიან საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის მოწვევას.

ფაბრიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ამიერკავკასიის აბრეშუმის მრეწველობის მუშაკთა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და სტახანოველთა კონფერენციის მიერ დასახულ ღონისძიებათა სა- [illegible]

გეგმით გათვალისწინებულ 235.832 მანეთის პროდუქციის ნაცვლად, 11 თებერვლისათვის გამოშვებულია 252.273 მან. პროდუქცია, რაც გეგმის 107 პროც. შეადგენს. (საქინფორმი).

O

საკანცელარიო ნივთების ფაბრიკა ახალი წარმატებებით ხვდება XVIII სრულიად-საკავშირო პარტიულ კონფერენციას.

ფაბრიკის კოლექტივმა იანვრის [illegible]

[illegible]

ორი დამხარისხებელი მანქანის და ერთი ღუმელის რემონტის დამთავრება იკისრეს სუფსის ჩაის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა.

ფაბრიკის კოლექტივი წარმატებით იბრძვის ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. მათ აღებული ვალდებულება ათი დღით ადრე შეასრულეს. ამას გარდა, ჩაის საჭკნობ საამქროში დადგმულ იქნა ვეტის სისტემის 7 ახალი საღგარი (სტანინა) ელექტროსად- [illegible]

განაშენებლად, მომზადეს ავრეთვე ნიადაგი 2.000 გრძივი მეტრის მანძილზე ცოცხალი ღობის გასაშენებლად. კონფერენციის გახსნის დღისათვის დამთავრდება მუშათა ახალი 40-ოთახიანი საცხოვრებლის მშენებლობა.

ფაბრიკა ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში ნიგვზიანის ბერიას სახელობის ჩაის ფაბრიკასთან.

ვ. მექვაბიშვილი

250 პროცენტით

ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხნის მუშათა კოლექტივი წარმატებით ასრულებს XVIII პარტკონფერენციისათვის აღებულ ვალდებულებებს. კონფერენციის გახსნის დღისათვის—15 თებერვლისათვის ქარხანას უნდა დაემზადებინა 2.000 კუბური მეტრი თიხა, რაც 8 თებერვლისათვის 250 პროცენტით შესრულდა, 2.000 კუბ. მეტრი თიხის ნაცვლად დაამზადა 4.500 კუბური მეტრი თიხა. ქარხნის კოლექტივი პირობას იძლევა კონფერენციის გახსნის დღისათვის დამატებით დაამზადოს 1000 კუბ. მეტრი თიხა.

თიხის დამამზადებელმა ბრიგადამ, რომელსაც სტახანოველი ვ. კოლუბოვი ხელმძღვანელობს, იანვარ-თებერვლის გეგმა 8 თებერვლისათვის გადაჭარბებით შეასრულა. ამ ბრიგადამ 1000 კუბ. მეტრი თიხის ნაცვლად 2585 კუბ. მეტრი თიხა დაამზადა.

ოსიაურელ ტრაქტორისტთა სიტყვა და საქმე

ოსიაურის მტს-მა საქ. კ. პ. (ბ) XVIII პარტკონფერენციის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით ტრაქტორების საზამთრო რემონტის გეგმა ხარისხის დაცვით ვადამდე 14 დღით ადრე შეასრულა. შეკეთებულია ყველა 58 ტრაქტორი. მათგან 18 ტრაქტორს გაუკეთდა კაპიტალური რემონტი. ტრაქტორებ-

თან ერთად დამთავრდა მისაბმელი მანქანა-იარაღების რემონტიც. საგაზაფხულო თესვის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის მზად არის ჩვენი მტს-ის მომსახურების უბანი 63 კოლმეურნეობა. სათესლე მასალა მათ გაწმენდილი და შენახული აქვთ საკმაო რაოდენობით.

ვ. ქველაძე
ოსიაურის მტს-ის დირექტორი.

ახალი მანქანები კოლმეურნეობათა მინდვრებში

საკოლმეურნეო წარმოება წელს 30-მდე ახალი ტიპის მანქანებს მიიღებს. სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნები ამზადებენ ახალი კონსტრუქციის ორ-სამკორპუსიანი გუთნებს დიდ პარტიებს; ეს გუთნები განკუთვნილია შუა-აზიის ნიადაგისათვის, კავკასიის, ყირიმის, კრასნოდარის მხარისა და ჩვენი ქვეყნის მეღვინეობის სხვა რაიონების კოლმეურნეობანი მიიღებენ ისეთ გუთნებს, რომლებიც იწევიან ვენახების პლანტაჟს 75 სანტიმეტრ სიღრმეზე. მთიანი რაიონებისათვის დამზადდება მიწის გადასაბრუნებელი სპეციალური გუთნები, რომლებსაც ექნებათ ორთვლიანი წინაწილი.

გაზაფხულისათვის გამოშვებულ იქნება ბიძლიანი ტრაქტორით და ცხენით მომუშავე მარცვალ-ბალახის სათესი მანქანა. კოლმეურნეობათა მინდვრებში მუშაობას დაიწყებენ ტრაქტორით და ცხენით მომუშავე სილოს სათიბი მანქანები, რომლებსაც ექნებათ საჭყურის გამოსათიბი მოწყობილობა და

ცხენით მომუშავე სასუქის მოსაყრელი მანქანები.

ჩვენი ქვეყნის მტს-ების პარკი შეივსება ტექნიკურ კულტურათა დამუშავების მექანიზაციისათვის განკუთვნილი მეტად საინტერესო მანქანებით მთელი სერიით: ჩაის პლანტაციების სპეციალური კულტივატორებით, ორი ახალი კონსტრუქციის რთული კანაფსაღლეწი მანქანებით, ბამბის ამკრეფი მანქანებით, კაუჩუკოსანთა ფესვების ამომღები სატრაქტორო ამწევებით. ახალ მანქანებს შორის გამოირჩევა სელის კომბაინი. იგი სთხრის სელს, უსწორებს თავაკს, ჰკრავს ძნებად.

მასობრივი რაოდენობით პირველად გამოვა ვენახების დასამუშავებელი უნივერსალური სატრაქტორო მანქანა „ვუმ—6". ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონებისათვის ომსკის კუიბიშევის სახელობის ქარხანაში დაიწყება პომპრავი მარცვალსაზომი მანქანების მასობრივი წარმოება. (საქინფორმი).

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

ბერლინი, 13 თებერვალი (საქინფ.). უმაღლესი სარდლობა იუწყება: ატლანტის ოკეანეში მოქმედი გერმანიის სამხედრო გემები თავს დაესხნენ ინგლისის გემების ქარავანს, რომელსაც საომარი სატრანსპორტო გემები... ჩაძირულია მოწინააღმდეგის 13 შეიარაღებული სავაჭრო გემი. [illegible]

ინგლისის ავიაცია 12 თებერვალს, ღამით, არ გამოჩენილა არც გერმანიაში, არც ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

საინფორმაციო ბიუროს ცნობით, ახლა გამოირკვა, რომ ინგლისის ავიაციის მი- [illegible]

[illegible] 10 თებერვალს, ღამით, ჰოლანდიის დასახლებული პუნქტების ბომბარდირების დროს ჰოლანდიის ბევრ რაიონში დაზიანდა საცხოვრებელი სახლები. [illegible]

ლონდონი, 13 თებერვალი (საქინფ.). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ, დღისით, გერმანიის ავიაციის ინგლისში აქტივობა არ გამოუჩენია. 12 თებერვალს, ღამით, დასავლეთ სანაპიროს მახლობლად ჩამოგდებულ იქნა რამდენიმე ყუმბარა. მატერიალური ზარალი და მსხვერპლი უმნიშვნელოა. [illegible]

საომარი მოქმედება ალბანეთში

ათენი, 13 თებერვალი (საქინფ.). ოფიციალურად იუწყებიან, რომ გუშინ ადგილობრივი ხასიათის ბრძოლა ხდებოდა მაღლობებზე... [illegible]

რომი, 13 თებერვალი (საქინფ.). იტალიის სარდლობა იუწყება: [illegible]

საომარი ოპერაციები ხმელთაშუა ზღვის აუზში

ბერლინი, 13 თებერვალი (საქინფ.). უმაღლესი სარდლობა იუწყება: [illegible]

ლონდონი, 13 თებერვალი (საქინფ.). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 11 თებერვალს ინგლისის თვითმფრინავებმა ხუთი საათის განმავლობაში თავს ესხმოდნენ იტალიის აეროდრომებს [illegible]

რომი, 13 თებერვალი (საქინფ.). იტალიის სარდლობა იუწყება: [illegible]

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმში

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა შეაჯამა პროფკავშირთა მესამე სრულიად-საკავშირო სათხილამურო კროსის შედეგები. კროსში მონაწილეობდა 1.381.578 კაცი. სათხილამურო ნორმები I და II საფეხურის „მშთ" ნიშანზე ჩააბარა 774.594 კაცმა.

პროფკავშირთა მესამე სრულიად-საკავშირო სათხილამურო კროსის სანიმუშოდ მოწყობისათვის პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა გარდამავალი წითელი დროშები, ალმები და პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს სიგელები მიანიჭა სასპორტო საზოგადოებებს: „ზენიტს", „სამხრეთის ლოკომოტივს", „ჯანმრთელობას" და ოქროსა და პლატინის მოპოვების [illegible]

მუშათა პროფკავშირს, რომლებმაც თავიანთ ჯგუფებში პირველი ადგილები დაიკავეს. ალმებითა და სიგელებით დაჯილდოებულია 23 ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოება და 2 პროფკავშირი.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მადლობა გამოუცხადა და სიგელებით დააჯილდოვა პროფკავშირთა 23 ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმები, ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების 25 ხელმძღვანელი მუშაკი. სიგელებით დაჯილდოებული არიან: საწარმოთა 32 ფიზკულტურული კოლექტივი, სასპორტო საზოგადოებათა 9 საოლქო საბჭო, საქარხნო კომიტეტების სასპორტო საზოგადოებათა საბჭოების 26 მუშაკი. (საქინფ.).

რკინის სალტე სპილენძის მავთულის ნაცვლად

მოსკოვის საბჭოს აღმასკომმა მოისმინა მოხსენება საცხოვრებელი და სასამსახურო შენობების ელექტრომასაზრდოებელ მაგისტრალებში სპილენძის მავთულის ნაცვლად რკინის სალტის საცდელი გამოყენების შესახებ. ეს ფერადი ლითონის უდიდეს ეკონომიას მოგვცემს. მარტო იმ საცხოვრებელ სახლებში, სკოლებსა და ზოგიერთ სხვა შენობაში, რომლებიც წელს შენდება, რკინის სალტის გამოყენება დაგვიზოგავს 300 ათასზე მეტ მეტრ სპილენძის მავთულს, 30-ზე მეტ ტონა სპილენძს, 60 ათასამდე კილოგრამ ებონიტის მილს. აღმასკომმა დაავალა ქალ. მოსკოვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამმართველოს ფართოდ დანერგოს რკინის სალტის გამოყენება იმ შენობების ელექტრომასაზრდოებელ მაგისტრალებში, რომლებიც ახლა შენდება. (საქინფ.).

საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტში შეჯამებულ იქნა წითელი არმიის XXIII წლისთავის სახელობის სრულიად-საკავშირო კომკავშირული კროსის პირველი ათი დღის შედეგები. არასრული ცნობებით სათხილამურო და ქვეითი შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 2.150 ათასმა კომკავშირელმა.

საქ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაციის წინადადება იმის შესახებ, რომ წითელი არმიის XXIII წლისთავის სახელობის სრულიად-საკავშირო კროსი 23 თებერვლისათვის დამ-

თავრდეს. ამასთან დაკავშირებით, საქ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა მთელყოს კროსის მონაწილეთა მასობრივი შეჯიბრება არა მარტო გამოსასვლელ დღეებში, არამედ სამუშაო დღეებშიაც.

O

14 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი აწყობს სპეციალურ რადიოგადაცემას კომინტერნის სახელობის რადიოსადგურიდან; რადიოგადაცემა მიეძღვნება სრულიად-საკავშირო კომკავშირულ კროსს (საქინფ.).

მსახიობის სახლი ყაზანში

ყაზანი. აქ გაიხსნა მსახიობის სახლი, რომელშიც იმართება შემოქმედებითი საღამოები, იწყობა კონსულტაცია თეატრისა და სახიობის საკითხებზე, მუშაობს ხელოვნების მუშაკთა ლექტორიუმი. თათრეთის დედაქალაქში ამჟამად 6 თეატრია. რესპუბლიკაში არის კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების 6 თეატრი. (საქინფ.).

სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატში

I.

სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატმა მოახდინა სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის პიშმის სპილენძელექტროლიტური ქარხნის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზია. გამოირკვა, რომ ქარხანაში ირღვევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 10 ივლისის ბრძანებულება „სამრეწველო საწარმოთა მიერ ცუდი ხარისხის ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის და სავალდებულო სტანდარტების დაუცველობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ".

გასული წლის 19 სექტემბერს ქარხნის დირექტორმა კალისტოვმა თვითნებურად გააუქმა საკაბელო ვაიერბარსებისათვის არსებული სტანდარტი და ნება დართო გაეგზავნათ არასტანდარტული პროდუქცია. გასულ წელს კალისტოვის განკარგულებით ქარხანამ მომხმარებლებს გაუგზავნა 1.331,1 ტონა წუნდებული საკაბელო ვაიერბარსი. გასული წლის ოქტომბერში მომხმარებლებს გაეგზავნა 160,2 ტონა არასტანდარტული კათოდური სპილენძი.

ქარხნის მიერ გეგმის სისტემატური შეუსრულებლობისა და წუნდებული პროდუქციის გამოშვე-

...

გადიდებულია 7.014.631 მანეთით.

...

ამის შედეგად მრგვალი ხე-ტყე გაგზავნილ იქნა გეგმის 88,3 პროცენტი, დახერხილი ხე-ტყე — 34,3 პროცენტი, ხოლო სხვა ასორტიმენტები — 4,3-დან 76 პროცენტამდე.

...

ჩენილია აგრეთვე ისეთი ფაქტები, როდესაც ხე-ტყის მასალას უკანონოდ იყენებდნენ საქონლის გაცვლის ოპერაციებისათვის.

...

მიაწოდეს 223.500 კუბ. მეტრი შეშა...

...

სოდას მაშინ, როდესაც სოდა საქონელგაცვლის წესით ...

...

ფალტერი სოლოდიანიკოვი და მისი მოადგილე შჩუკინი ფერადი მეტალურგიის სახალხო კომისარიატს საწარმოს ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ ყალბ ცნობებს უდგენდნენ: ქარხნის გასული წლის ივნისის, ივლისისა და აგვისტოს ბალანსებში მოგება ხელოვნურად

...

წლის 28 იანვარს გამოიტანა დადგენილება ნავთის მრეწველობისათვის ხე-ტყის რიგსგარეშე გაგზავნის შესახებ, „გლავლესსნაბიტმა" თვითნებურად შეამცირა III კვარტალში ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის რკინიგზით ხე-ტყის მიწოდების გეგმა.

...

246.781 კუბ. მეტრი ხე-მასალა, 49.308 შპალი, 30... ცალი ვერხვის ტკეჩი, ... კუბ. მეტრი შეშა და 4.7... ლი ცალულის კოპიტული...

სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადება

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ გამოიტანა დადგენილება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში დადგენილია სწავლების 3 წლის ვადა ზოოტექნიკური, ვეტერინარული, მემინდვრეობის, მეხილეობა - მებოსტნეობის, სუბტროპიკული კულტურების, სამიწათმოწყობო და სხვა სპეციალობისათვის. სწავლების ორწლიანი ვადა დადგენილია მეფუტკრეობის, მეფრინველეობის, მეაბრეშუმეობის, მეთამბაქოობის, მეთევზეობისა და საბუღალტრო-ეკონომიური სპეციალობისათვის.

ზოოტექნიკურ ტექნიკუმებთან, მეხილეობისა და მებოსტნეობის ტექნიკუმებთან ეწყობა სასწავლო მეურნეობანი 200-დან 400-მდე ჰექტარი მიწის ფართობით. ამ მეურნეობებს ეყოლებათ სათანადო რაოდენობის საქონელი, ექნებათ საჭირო სასოფლო-სამეურნეო შენობები, მანქანები და ინვენტარი.

(საკდესი).

ნ. კ. კრუპსკაიას და ა. ს. მაკარენკოს პედაგოგიური მემკვიდრეობა

რუსეთის სფს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის სკოლების სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი ნ. კ. კრუპსკაიას და ა. ს. მაკარენკოს პედაგოგიური მემკვიდრეობის დამუშავებას იწყებს. მზადდება ქრესტომატიული კრებული პედაგოგებისა და მშობლებისათვის ოჯახში კომუნისტური აღზრდის შესახებ. წიგნში შევა ნ. კ. კრუპსკაიას მიერ ამ საკითხზე დაწერილი ძირითადი სტატიები.

ა. ს. მაკარენკოს გარდაცვალების მეორე წლისთავისათვის ინსტიტუტი ამზადებს სტატიების კრებულს, რომლებიც ახასიათებენ გამოჩენილი მწერლისა და პედაგოგის შემოქმედებითს პოლვაწეობას. კრებულში მოყვანილია მაკარენკოს მიმოწერა გორკისთან.

(საკდესი).

ვენახებისა და ციტრუსოვანთა ფართობის გადიდება

სიმფეროპოლი. ყირიმის კოლმეურნეობებში წლითი-წლობით დიდდება ვენახის ფართობი. წელს ვენახი გაშენდება 2.800 ჰექტარზე. ვენახი ველიან რაიონებშიც ინერგება. ამზადებენ ნიადაგს, შეაქვთ სასუქი. დიდდება ციტრუსოვანთა ფართობი. იალტის რაიონის ტელმანის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელში გახარებულია ლიმონის 2 ათასი ნერგი. (საკდესი).

ახალი არხი

სამხერე, (საქდესი). მიმდინარე წლის პირველ მარტიდან დაიწყება სარწყავი არხის მშენებლობა. არხი მორწყავს 650 ჰექტარ ფართობს. არხის გაყვანა ფერგანული მეთოდით იწარმოებს და დამთავრდება ამ წლის 1 მაისამდე. მის მშენებლობაზე დაახლოებით ერთი მილიონი მანეთი დაიხარჯება.

პ. აზარაშვილი

სამტრესტის დირექტორი

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომი აღმავლობისათვის

მევენახეობასა და მეღვინეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობაში. მაგრამ მათ განვითარებას დიდი სიძნელეები და დაბრკოლებები ეღობებოდა. ცარიზმისა და მენშევიკების ბატონობის დროს მევენახეობა კატასტროფიულად დაეცა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტისათვის, 1921 წელს, ვენახებს ეკავათ 35.000 ჰექტარი. მევენახეობ-...

საქართველოში ვენახების ფართობმა 1940 წლის აგვისტოსათვის, აღწერის ცნობებით, მიაღწია 69.902,3 ჰექტარს (ნაცვლად 1921 წლის 35.000 ჰექტარისა). 1940-1944 წლების განმავლობაში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვენახები გაშენდება 31.670 ჰექტარზე.

ამრიგად, ორდენოსან საბჭოთა საქართველოს, რომელსაც ამჟამად ...

წლის 15 ოქტომბრის დადგენილებით „საქართველოს სს რესპუბლიკის ქართლის რაიონებში ... მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის, შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ" ... ლოს ბოლშევიკების წინაშე ... ხულია მოქმედების ახალი ... რამა ვენახების ფართობის ... დებისა და მოსავლიანობის ...

...

წელიწადში გამოუშვებს 500 ათასი მანეთის პროდუქციას. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სწრაფად და ხარისხიანად შევასრულოთ სამშენებლო პროგრამა.

სამტრესტის საერთო პროდუქცია 1940 წლის კამპანიაში 1926-27 ...

პარტიული ცხოვრება

გადაჭრით გავაუმჯობესოთ ერთეულ კომუნისტებთან მუშაობა

სტალინირის რაიონში ამჟამად 95 ერთეული კომუნისტი ირიცხება. მათგან პარტიის წევრია 44 კაცი და კანდიდატი — 51.

საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომის მუშაობა ერთეულ კომუნისტებთან არასაკმაოა. ეს მუშაობა იმით ამოიწურება, რომ გასულ წელს რაიკომის ინსტრუქტორებმა 4 სოფლის საბჭოში ჩაატარეს თათბირი ერთეულ კომუნისტებთან, ხოლო ცალკეულ ერთეულ კომუნისტებთან ისაუბრა რაიკომის მდივანმა ამხ. ცხოვრებოვმა (რომელიც მრავალ ერთეულ კომუნისტს იცნობს პირადად). ერთეულ კომუნისტთა რაიონული თათბირი, აგრეთვე თათბირები ინსტრუქტორთა სამოქმედო ზონების მიხედვით არ ჩატარებულა.

ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ერთეულ კომუნისტებთან მუშაობას რაიკომის ინსტრუქტორები. მაგალითად, ინსტრუქტორის ამხ. კულუმბეგოვის ზონაში 7 სოფლის საბჭოა, რომელთა ტერიტორიაზე 55 ერთეული კომუნისტი მუშაობს. ამხ. კულუმბეგოვმა მხოლოდ ორი სოფლის საბჭოში ჩაატარა ერთეული კომუნისტების თათბირი, რომელზეც ესაუბრა 9 ამხანაგს.

რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას არა აქვს ერთეულ კომუნისტთა აღრიცხვა, არ ეხმარება მათ საერთო და პოლიტიკური განათლების დონის ამაღლებაში. 24 ერთეული კომუნისტი მცირემცოდნეა მაგრამ ისინი ჩაბმული არ არიან მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლებში, ერთეულ კომუნისტებს არ ეხმარებიან საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლის საქმეში.

რაიკომი ნაკლებად ზრუნავს ერთეულ კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკურად და პრაქტიკულ საქმიანობაში აღზრდისათვის, არ არ აძლევს მათ პარტიულ დავალებებს, არ უწევს კონტროლს, თუ როგორ მუშაობენ და სწავლობენ ისინი. 15 ერთეულ კომუნისტს ვესაუბრე. გამოირკვა, რომ მათგან 14-ს პარტიული დავალება არა აქვს. ზოგი მათგანი არ სწავლობს პარტიის ისტორიას, ნაკლებად იცნობს პარტიის წესდებასა და პროგრამას.

მაგალითად, არა აქვთ პარტიული დავალებები, არ სწავლობენ პარტიის ისტორიას, არ გასცნობიან პარტიის წესდებას, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს დადგენილებებს ერთეული კომუნისტები ი. წიქარიძე, ს. დატიკოევი, ზ. ხეთაგური, შ. ტურაშვილი და სხვ.

როგორც ვხედავთ, საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომს სუსტად აქვს დაყენებული ერთეულ კომუნისტებთან მუშაობა. აქედან მან სათანადო დასკვნა უნდა გააკეთოს — გადაჭრით უნდა გააუმჯობესოს მუშაობა მათთან, მისცეს კონკრეტული პარტიული დავალებები, კონტროლი გაუწიოს და კონკრეტული დახმარება აღმოუჩინოს მათ პრაქტიკულ მუშაობაში და იდეურ-თეორიული დონის ამაღლების საქმეში.

გ. მაისურაძე

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების ინსტრუქტორი.

არსებითად ვუხელმძღვანელოთ საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების მუშაობას

(თათბირი საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში)

მიმდინარე წლის 12 თებერვალს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში შესდგა პროპაგანდისტების, პარტბიუროს მდივნებისა და პარტიის რაიკომების მუშაკების საქალაქო თათბირი, რომელსაც ორასზე მეტი კაცი დაესწრო.

თათბირი გახსნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ჩერქეზიამ. თათბირმა მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. პ. გუჯაბიძის მოხსენება პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრეების მუშაობის შესახებ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის ისტორიული დადგენილების განხორციელებით, — აღნიშნა ამხ. გუჯაბიძემ, — თბილისის პარტიულმა ორგანიზაციებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს საწრეო მუშაობაში. ბევრი ჩვენი პროპაგანდისტი მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ საპატიო მოვალეობას, საინტერესოდ, ცოცხლად და მიმზიდველად ატარებს პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრეების ყოველ მეცადინეობას.

მაგრამ ეს ყველა წრის მეცადინეობასა და პროპაგანდისტზე როდი ითქმის. მაგალითისათვის ამის დასადასტურებლად მომხსენებელმა მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები. პროპაგანდისტები ამხ. პარუნაკიანი (თბილისის თამბაქოს ფაბრიკა), ქელეხსაშვილი („ცენტროლიტი"), შერბაკოვი (სამკერვალო ფაბრიკა № 6), კეკელიძე (ფეხსაცმლის სამოდელო ფაბრიკა) და სხვ. ვერ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, მეცადინეობის დროს უშვებენ პოლიტიკურ შეცდომებს, სწორად ვერ სვამენ კითხვებს. ამხ. კეკელიძემ ლენინის წიგნის სახელწოდების შესახებ „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან" ასე განაცხადა: „საქმე ის არის, რომ ორი ნაბიჯი უკან უნდა დაიხიო ისეთი, რომ შემდეგ ერთი გადადგა წინ, რომელიც ამ ორს სჯობდეს".

ეს ფაქტი მოწმობს, რომ ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ სწორად ვერ შეარჩია ამხანაგები საპროპაგანდო სამუშაოზე, არ გაითვალისწინა ამ საქმის მთელი სერიოზულობა.

წრის ნაყოფიერი მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის სწორად დაკომპლექტებას, მსმენელთა საერთო განათლებისა და პოლიტიკური დონის ერთგვაროვნებას. თუმცა არსებული წრეები ძირითადად სწორად არიან დაკომპლექტებულნი, მაგრამ ზოგიერთ მათგანში მსმენელები არასწორად არიან შერჩეული. ეს უპირველეს ყოვლისა ითქმის № 1 და № 6 სამკერვალო ფაბრიკებთან და თამბაქოს ფაბრიკასთან არსებულ წრეებზე, სადაც საშუალო განათლების მქონე ამხანაგებთან მცირემცოდნენი ირიცხებიან.

წრის წარმატებით მუშაობა დიდად არის დამოკიდებული თვით წრის მსმენელებზე. ეს კარგად აქვთ შეგნებული ბევრი წრის მსმენელებს და ისინი სისტემატურად მუშაობენ თავიანთ თავზე, ყოველთვის მომზადებული ცხადდებიან მეცადინეობაზე და ცხოველ მონაწილეობას იღებენ ამხანაგური დისკუსიის დროს. ამის არა ერთი და ორი მაგალითი იქნა მოყვანილი მომხსენებლის მიერ. თუმცა არიან ისეთი მსმენელებიც, რომლებიც ხშირად აცდენენ მეცადინეობას, მოუმზადებელი ცხადდებიან, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან წრის მუშაობას.

ცნობილია, რომ საწრეო მუშაობაში ცენტრალური ფიგურა პროპაგანდისტია. მასზე ბევრად არის დამოკიდებული წრის მაღალხარისხოვანი მუშაობა. ამიტომ პროპაგანდისტებს სისტემატურ დახმარებას უნდა უწევდნენ პარტორგანიზაციები. სამწუხაროდ, დახმარების მაგიერ პარტიის ზოგიერთი რაიკომები ზედმეტად ტვირთავენ მათ სხვა სამუშაოებით. ეს განსაკუთრებით შტატის პროპაგანდისტებზე ითქმის.

თავის მხრივ პროპაგანდისტები მოვალენი არიან სისტემატურად ესწრებოდნენ პროპსემინარებს, მონაწილეობას იღებდნენ წამოჭრილი საკითხების გარჩევაში, მაგრამ ამას ყველა პროპაგანდისტი როდი ასრულებს.

ბევრი წრის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა აიხსნება პირველადი პარტორგანიზაციებისა და რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა მუშაკების სუსტი დახმარებითა და ხელმძღვანელობით. სწორედ ამ ნაკლოვანებათა შესახებ ლაპარაკობდნენ და ამახვილებდნენ დამსწრეთა ყურადღებას კამათში გამოსული ამხანაგები, ისინი მოითხოვდნენ საწრეო მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევას, მათი საქმიანობის გადაჭრით გაუმჯობესებას.

— ზოგიერთი წრის პროპაგანდისტი ფორმალურად, ზერელედ ეკიდება მასზე დაკისრებულ საპატიო მოვალეობას, — სთქვა სიტყვით გამოსულმა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. კიროვის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. იავრიანმა. ხშირად ასეთმა პროპაგანდისტებმა თავიანთი წრეების მსმენელების გვარიც არ იციან, არ იციან, თუ როგორ მუშაობენ ისინი წიგნზე, რა დახმარებას საჭიროებენ. კადრების ძირეული რგოლის ზოგიერთი პროპაგანდისტი ხშირად ასე იქცევა: მეცადინეობის წინ 3-4 ფურცელს ნაჩქარევად გადაავლებს თვალს „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსიდან" და ისე მიდის წრეში. პირვანდელი წყაროების გამოყენებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ადვილი გასაგებია, თუ რა შედეგი ექნება ამგვარად ჩატარებულ მეცადინეობას.

— იმისათვის, რომ მოწოდების სიმაღლეზე იდგეს წრის მუშაობა, პროპაგანდისტი დაუღალავად, ყოველდღიურად უნდა მუშაობდეს თავისი იდეური და კულტურული ჰორიზონტის შემდგომი გაფართოებისათვის, ყოველთვის მომზადებული უნდა ცხადდებოდეს მეცადინეობაზე. ამ საქმეში პარტორგანიზაციები ყოველმხრივ დახმარებას უნდა უწევდნენ მათ. მაგრამ ხშირად ასე როდი ხდება. დახმარების მაგიერ ზოგჯერ მათ ხელს უშლიან მუშაობაში, აძლევენ ისეთ დავალებებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის საპროპაგანდო მუშაობასთან. ყოველივე ეს გავლენას ახდენს ჩვენს მუშაობაზე, — განაცხადა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის შტატის პროპაგანდისტმა ამხ. ნოკურაძემ.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. სვერდლანა, ყურანოვსკი, რაზმოჩაევი, ალიხანოვი, ბირკაია, შარაშენიძე, გუგუნავა და სხვ. კამათში გამოვიდა სულ ათი ამხანაგი.

თათბირის დასასრულს შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ე. ჩერქეზია, რომელმაც აღნიშნა რა საწრეო პროპაგანდაში არსებული ზოგიერთი მიღწევები, მოიყვანა მთელი რიგი უარყოფითი ფაქტები წრეების მუშაობიდან.

ამხ. ჩერქეზიამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ბევრმა წრემ ძალიან გააჭიანურა „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" დამთავრება. ამის საილუსტრაციოდ მან მოიყვანა ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის სამმართველოსთან არსებული წრის მაგალითი.

ამხ. ჩერქეზიამ, შეაჯამა რა თათბირის მუშაობა, მოუწოდა დამსწრეებს, რომ კიდევ უფრო მეტად გააძლიერონ კონტროლი, გადაჭრით გააუმჯობესონ საწრეო მუშაობა, არსებითად უხელმძღვანელონ საპროპაგანდო მუშაობას.

თათბირმა ამხ. პ. გუჯაბიძის მოხსენების ირგვლივ მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი.

ზუგდიდი. საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის პარტკაბინეტში. სურათზე: თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭოს თავმჯდომარე ამხ. დ. სიჭინავა კონსულტაციას იღებს ამხ. ე. როგავასაგან.

ფოტო პ. ლუცენკოსი (საქტესის ფოტოქრონიკა)

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის პლენუმი

გორი („კომუნისტის" კორ.). საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის პლენუმმა, რომელიც 12 თებერვალს შესდგა, განიხილა რაიკომის მდივნის ამხ. ვ. ლოლაძის მოხსენება 1940 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შედეგებისა და პარტიისა და მთავრობის 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილების მიხედვით მიმდინარე წლის სამუშაოთა ჩატარების შესახებ, გორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. დ. ჯაბაურის მოხსენება ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ და ამხ. კ. ნინუას მოხსენება რაიკომის IV პლენუმიდან V პლენუმამდე პარტიის რიგებში მიღების ხაზით ჩატარებული მუშაობის შესახებ.

ამხ. ლოლაძის მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ ამხ. ვ. ჯანიზაშვილი, ს. გევორქოვი, თ. ჩუხრუკიძე, გ. ჩიხლაძე, დ. ლაზარაშვილი, ვ. სადაგლიშვილი, ვ. ზაბტაძე, ე. თომაშვილი, გ. ბალდასაროვი და ლ. ხორბალაძე. კამათში გამოსულნი აღნიშნავდნენ იმ მიზეზებს, რომელთაც გამოიწვიეს 1940 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების გარღვევით დამთავრება, და სახავდნენ ღონისძიებებს 15 ოქტომბრის დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად.

ამხ. დ. ჯაბაურის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ივ. უზნაძემ, გ. არზოლიშვილმა, გ. შერმაზანმა და შ. ლოთიშვილმა. პლენუმზე აღინიშნა, რომ გორის ხეტყის სახერხ ქარხანაში დღემდე შემოღებული არ არის მუშაობის სანარდო სისტემა, საკვამლე მილი დაზიანებულია, არ არის დამხმარე მასალები (ღვედი, საწვავი, ორთქლი, ტრანსპორტი); ამის შედეგად ქარხანამ გასული წელი გარღვევით დაამთავრა, ხოლო წელს დღიური საწარმოო დავალებები არ სრულდება.

პლენუმმა დაამტკიცა რაიკომის ანგარიში პარტიაში მიღების ხაზით გაწეული მუშაობის შესახებ და მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი ადგილობრივი ორივე საკითხის გარშემო.

ს. ყურაშვილი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

ივანე ტიმოთეს-ძე კაკულია, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 3071734 — როგორც მსჯავრდადებული; გრიგოლ ჯიბოს-ძე ტაბატაძე, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2167054 — როგორც მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; ალექსანდრე პეტრეს-ძე რთველაძე, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1937 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0923104 — როგორც მსჯავრდადებული სიყალბის ჩადენისათვის; აბელ კელას-ძე ქომშარია, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1940 წლიდან, პარტბილეთი № 3725736 — საკოლმეურნეო მიწის მითვისებისათვის.

გ. ლელინი — საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე.

ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ პარტიაში მიღებას და ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდას

საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგმა **სტალინმა** თავის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის შემდგომი განმტკიცების დარგში ერთერთ ძირითად ამოცანად დაგვისახა: „სისტემატურად გავაუმჯობესოთ პარტიის შემადგენლობა, ავამაღლოთ პარტიის წევრთა შეგნებულობის დონე და ინდივიდუალური შერჩევის წესით მივიღოთ პარტიის რიგებში მხოლოდ შემოწმებული, კომუნიზმის საქმისადმი ერთგული ამხანაგები".

განუხრელად ახორციელებს რა ბელადის ამ მითითებას, თბილისის პარტიული ორგანიზაცია თავის რიგებს ზრდის კომუნიზმის საქმისადმი ბოლომდე ერთგული ადამიანებით, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებით.

1940 წლის 1 ივლისიდან 1941 წლის 1 იანვრამდე თბილისის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ საქ. კ. პ. (ბ) წევრებად მიიღო 1332 ამხანაგი, ხოლო კანდიდატებად 733 ამხანაგი. ამრიგად, 1941 წლის 1 იანვრისათვის თბილისის პარტიულ ორგანიზაციაში ირიცხებოდა 20114 წევრი, ხოლო კანდიდატი, 5.429, სულ 25.543.

6 თვის განმავლობაში მიღებულ პარტიის წევრობის კანდიდატთა შორის 200 ქალია; 366 კომკავშირელი; მუშაობის ხასიათის მიხედვით: მუშები — 253 კაცი, — მოსამსახურენი — 360 კაცი, მასწავლებლები — 94 კაცი, კუსტარული სახელოსნო არტელების წევრები — 19 კაცი. 360 მოსამსახურიდან საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიღებულია ინჟინერ-ტექნიკოსები 60 ამხანაგი, მასწავლებლები 46 კაცი, ექიმები —16 კაცი, პროფესორები და მეცნიერ-მუშაკები — 34 კაცი.

ქ. თბილისის პარტრაიკომებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, ხელმძღვანელობენ რა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 10 ივლისის დადგენილებით, შესამჩნევად გააუმჯობესეს თავიანთი მუშაობა პარტიაში მიღების დარგში. ისინი უფრო გულდასმით, მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან პარტიაში ახალ წევრთა და კანდიდატთა მიღებას. წინათ რაიკომები ბიუროს ერთ სხდომაზე იხილავდნენ ათობით განცხადებებს. ახლა რაიკომები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები უფრო გულისყურით ეკიდებიან მასალებთა დოკუმენტების გაფორმებას, რეკომენდაციების შედგენას და ანკეტების შევსებას.

პარტიაში ინდივიდუალური შერჩევის პრინციპის მტკიცედ დაცვით მიღებული არიან მხოლოდ მოწინავენი, აქტივისტები და ლენინ - სტალინის პარტიისადმი ბოლომდე ერთგული ამხანაგები, სტახანოველი მუშები და საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. მაგალითად, თბილისის მაუდის ფაბრიკის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო ამხ. ბ. კოკოლაშვილი, საუკეთესო სტახანოველი მრავალდაზგოსანი ქალი, აქტიური კომკავშირელი, ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ 1940 წლის ოქტომბერში პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო ამხ. ს. კობაიძე, საუკეთესო მქსოველი, მრავალდაზგოსანი ქალი, რომელიც საქსოვი საამქროს მოწინავე პროფორგია. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ 1940 წლის სექტემბერში პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო ა. ფ. არტმანოვი, მოწინავე ხარატი-სტახანოველი, რომელიც გეგმას 320-330 პროცენტით ასრულებს. იგი არჩეულია მექანიკური საამქროს პროფორგად.

პირველადი პარტორგანიზაციები გაბედულად ეუბნებიან უარს პარტიაში მიღებაზე, ვინც პარტიის წევრის სახელწოდების ღირსი არ არის. 1940 წლის 1 ივლისიდან 1941 წლის 1 იანვრამდე პარტიაში მიღებაზე უარი ეთქვა 213 კაცს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების მუშაობა პარტიაში წამყვანი პროფესიის მუშების მიღებისათვის ჯერ კიდევ არასაკმაოა. მაგალითად, (1940 წლის 1 აგვისტოდან 1 დეკემბრამდე) საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომმა 66 კაციდან წამყვანი პროფესიის მუშები მიიღო მხოლოდ 14. სტალინის რაიკომმა 35 კაციდან წამყვანი პროფესიის მუშები—3, კიროვის რაიკომმა 49 კაციდან—5, ორჯონიკიძის რაიკომმა 125 კაციდან—5 კაცი, 26 კომისრის სახელობის რაიკომმა 44 კაციდან—8 კაცი, და მოლოტოვის რაიკომმა 41 კაციდან—9 კაცი.

მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არასაკმაოდ იბრძვიან სტალინური ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 10 ივლისის დადგენილების განხორციელებისათვის. პარტიაში მიღებისას არღვევენ ლენინურ-სტალინური ინდივიდუალური შერჩევის ნაცად პრინციპს, რის გამო ზოგჯერ პარტიაში იღებენ შეუმოწმებელ ადამიანებს, ყველას, ვინც კი განცხადებას შეიტანს. ასე, მაგალითად, თბილტრიკოტაჟის კომბინატის პირველადის პარტიულ ორგანიზაციაში (პარტბიუროს მდივანი — ამხ. ოქრუაშვილი) პარტიის წევრობის კანდიდატობაზე შეიტანეს 3 განცხადება, სამივე განცხადების შემტანი მიიღეს პარტიაში. აღსანიშნავია, რომ ეს პარტიული ორგანიზაცია არასერიოზულად ეკიდება პარტიაში მიღებას. 1940 წლის აგვისტოში პარტკანდიდატად მიიღო „ბ", რომელსაც 1939 წლის ქურდობისათვის მისჯილი ჰქონდა ერთი წლით იძულებითი მუშაობა (ეს გამოირკვა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომში, სადაც „ბ"-ს უარი უთხრეს მიღებაზე).

უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიაში მიღება დიდი და პასუხსაგები საქმეა. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ახალ წევრთა და კანდიდატთა მიღების დროს მტკიცედ უნდა დაიცვან ინდივიდუალური შერჩევის ნაცადი პრინციპი, პარტიაში მიიღონ მხოლოდ შემოწმებული, მომზადებული და ლენინ - სტალინის საქმის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს მთლიანად აღადგინონ საკანდიდატო სტაჟის მნიშვნელობა, როგორც პარტიაში წევრად შემსვლელის სერიოზული გამოცდა, უზრუნველჰყონ საკანდიდატო სტაჟის გავლის დროს კანდიდატთა პოლიტიკური და საქმიანი თვისებების შემოწმება და დაეხმარონ მათ პარტიის პროგრამის, წესდების და ტაქტიკის გაცნობაში, ისე როგორც ამას მოითხოვს საქ. კ. პ. (ბ) წესდება.

პარტიის რაიონული კომიტეტები და მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციები, ასრულებენ რა სტალინური ცენტრალური კომიტეტის ამ მითითებას, ახლა უფრო უკეთ მუშაობენ პარტიის წევრობის კანდიდატთა ბოლშევიკურად აღზრდისათვის. მათ უფრო ფართოდ ჩააბეს კანდიდატები პარტიულ - პოლიტიკურ მუშაობაში, უკეთესად მოაწყეს მუშაობა იმისათვის, რომ აამაღლონ კანდიდატთა იდეურ - პოლიტიკური მომზადების დონე. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციაში (პარტბიუროს მდივანი ამხ. გოგუა) ირიცხება 70 პარტკანდიდატი. მათი უმრავლესობა აქტიურად არის ჩაბმული პარტიულ - საზოგადოებრივ მუშაობაში. პარტიის 28 კანდიდატი გამოყოფილია აგიტატორად, ხოლო 21 კანდიდატი ცხოველ მონაწილეობას იღებს კომკავშირულ, პროფკავშირულ და ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მუშაობაში. მაგალითად, ამხ. მ. გვიშიანი, პარტიის წევრობის კანდიდატი, მრავალდაზგოსანი ქალი, სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს გეგმას, საამქროს საუკეთესო პროფორგია და გამუდმებით მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის.

ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი ამხ. გუკასოვი) აერთიანებს პარტიის წევრობის 15 კანდიდატს. მათ შორის 13 კანდიდატს აქვს პარტიულ-საზოგადოებრივი დავალება. ვ. ზადიგიანი, ინჟინერ - კონსტრუქტორი, აგიტატორი, კანდიდატთა წრის დროებითი ხელმძღვანელი, დავალებებს სანიმუშოდ ასრულებს, ამავე დროს წარმატებით ეუფლება მარქს - ენგელს-ლენინ-სტალინის დიად მოძღვრებას.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ თბილისის ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია არასაკმაო მუშაობას ეწევა კანდიდატთა ბოლშევიკურად აღზრდისათვის, ნაკლებად ზრუნავს კანდიდატების პრაქტიკულ სამუშაოზე გამოწრთობისათვის. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია არ ასრულებს პარტიული წესდების მოთხოვნას, სერიოზულ ყურადღებას არ აქცევს დაწესებულ საკანდიდატო სტაჟს, არ იყენებს ამ სტაჟს კანდიდატის პირადი თვისებების შესწავლისათვის.

მოვიყვანოთ მაგალითი, თბილისის თამბაქოს ფაბრიკის პარტორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი ამხ. ს. ატრიევი) სრულიად არა დამაკმაყოფილებლად მუშაობს პარტკანდიდატებთან. პარტორგანიზაციაში ირიცხება 29 კანდიდატი. მათ შორის 22 კანდიდატი სტაჟგადაცილებულია, 17 ამხანაგს არა აქვს არავითარი პარტიულ - საზოგადოებრივი დავალება. ბევრ მათგანს პარტიაში მიღების დღიდან არ მიუღია რაიმე პარტიული დავალება, ისე გაუვიდა საკანდიდატო სტაჟი.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გადაჭრით გავაუმჯობესოთ პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობა. თვითეული პარტიული ორგანიზაციის მოვალეობაა აქტიურად ჩააბას პარტიის წევრობის კანდიდატები პრაქტიკულ მუშაობაში, მისცეს მათ კონკრეტული პარტიული დავალებანი, დაეხმაროს დავალებათა შესრულებაში და ყოველნაირად შეუწყოს ხელი მათს გამოწრთობას სამუშაოზე. რაიკომებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სისტემატურად უნდა უხელმძღვანელონ პარტკანდიდატთა იდეურ - პოლიტიკურად აღზრდას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ კანდიდატი პარტიის მომავალი წევრია და მისი ბოლშევიკური აღზრდა — პარტიული მუშაობის საპატიო უბანია.

კამპანია გაზეთ „დეილი უორკერის" აკრძალვის წინააღმდეგ

ლონდონი, 12 თებერვალი (საქტესი). ინგლისში ფართო ხასიათს იღებს კამპანია გაზეთ „დეილი უორკერის" აკრძალვის წინააღმდეგ. ბრედფორდში გამართულ საპროტესტო მიტინგს ტრედ-უნიონთა საბჭოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობდა. ლეტჩუერტის (ჰატფორდის საგრაფო) მანქანათმშენებელთა ტრედ-უნიონის ორმა განყოფილებამ გამოიტანა რეზოლუცია და მოითხოვა აკრძალვის მოხსნა. მიტინგზე გაიყიდა ადგილობრივი გაზეთის სპეციალური გამოშვების 500 ეგზემპლარი. ნორტჰემპტონის საგრაფოში, სადაც პიტერბოროს მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი მდებარეობს, ტრედ-უნიონთა საბჭომ ტრედ-უნიონის ყველა განყოფილებას მიმართა თხოვნით—შეუერთდნენ ამ კამპანიას. მანქანათმშენებელთა ტრედ-უნიონის ორმა განყოფილებამ უკვე გამოჰგზავნა საპროტესტო რეზოლუციები. ნორიჯში (ნორფოლკის საგრაფო) გამართულ საპროტესტო მიტინგზე გამოვიდნენ ლეიბორისტები, დამოუკიდებელი ლეიბორისტები და კომუნისტები. კემბრიჯში 75 სტუდენტმა მოაწყო პლაკატებით მსვლელობა. ამ უნივერსიტეტის ბევრმა პროფესორმა წერილობითი პროტესტი გაუგზავნა პრესას „დეილი უორკერის" აკრძალვის წინააღმდეგ. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ სანაპიროოლქის ტრედ-უნიონთა ბევრმა განყოფილებამ, კერძოდ, მაღაროელებმა და მანქანათმშენებლებმა, აგრეთვე გამოიტანეს საპროტესტო რეზოლუციები.

გენერალ დე გოლის ჯარის მოქმედება სამხრეთ ლიბიაში

ლონდონი, 12 თებერვალი (საქტესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს შემდეგს კომუნიკეს, რომელიც გენერალ დე გოლის მთავარმა ბანაკმა გამოაქვეყნა: „ჩვენი ჯარი, ავიაციის დახმარებით განაგრძობს წარმატებით ოპერაციებს სამხრეთ ლიბიაში. მოტორიზებული ჯარის კოლონამ პოლკოვნიკ ლეკლერკის სარდლობით წინ წაიწია და რამდენიმე ოაზისი დაიკავა კუფრის რაიონში. 7 თებერვალს მეტად წარმატებითი საჰაერო ბომბარდირების შემდეგ, რომლის დროსაც მოსპობილ იქნა იტალიის მნიშვნელოვანი ობიექტები და რამდენიმე თვითმფრინავი, ჩვენი ჯარის ნაწილებმა იერიში მიიტანეს მტრის საჰაერო ბაზაზე და დიდი ზარალი მიაყენეს. ოპერაციები დამაკმაყოფილებლად ვითარდება".

იტალიის ნოტა ა. შ. შტატებისადმი

ნიუ-იორკი, 12 თებერვალი (საქტესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა იტალიის მეორე ნოტა, რომელშიც უარყოფილია ბრალდება, თითქოს იტალიელთა ყუმბარმშენების მოქმედების შედეგად დოროში (აბისინიის საზღვრის მახლობლად) მოკლული იყო ორი და დაჭრილი იყო ორი ამერიკელი მისიონერი. როგორც ვიცით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ნოემბერში იტალიას პროტესტი განუცხადეს და ბრალად დასდეს იტალიელ მფრინავთა „არაპროვოცირებული თავდასხმა დაუცველ ობიექტზე". იტალიის ნოტა ამტკიცებს, რომ ამერიკელი მისიონერები ჯერ კიდევ მაშინ დაიჭრნენ, როდესაც იტალიელებმა ივლისში ყუმბარა დაუშინეს ამავე რაიონში არსებულ ინგლისელთა პუნქტს—კურმუკს. ნოტა ინგლისელებს ბრალს სდებს, რომ ისინი ყალბად მიაწერენ იტალიელებს დოროზე თავდასხმას.

ინგლისის სამხედრო მისია თურქეთში

ლონდონი, 12 თებერვალი (საქტესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება, რომ ინგლისის სამხედრო მისიის წევრები გენერალ-ლეიტენანტი მარშალ კორნუოლი და ავიაციის ვიცე-მარშალი ელმჰერსტი თურქეთის ჯარს ეწვივნენ და ფორტიფიკაციები დაათვალიერეს თრაკიაში, დარდანელსა და სმირნაში. ცნობაში აღნიშნულია, რომ ინგლისის სამხედრო მისიის წევრები ახლო ხანში კაიროს დაბრუნდებიან.

ბუქარესტის სამხედრო სარდლობის კომუნიკე

ბუქარესტი, 12 თებერვალი (საქტესი). დღევანდელ გაზეთებში გამოქვეყნებულია ბუქარესტის სამხედრო სარდლობის კომუნიკე: „რადგან, — ნათქვამია კომუნიკეში, — ბუქარესტში მოწყობილი იქნება საჰაერო თავდაცვის წრთვნა, რის დროსაც ბუქარესტი სრულ წყვდიადში გაეხვევა, სამხედრო სარდლობამ გაადიდა პატრულთა რიცხვი, რომლებმაც მკაცრი ბრძანება მიიღეს ყოველმხრივ დაიცვან კანონიერი განკარგულებანი".

კომუნიკეში, განმეორებულია რომ ქუჩებში მოძრაობა აკრძალულია 22 საათიდან დილის 5 საათამდე. აღნიშნულია, რომ ამ განკარგულების დამრღვევნი ხელისუფალთა მიერ შეფასებული იქნებიან როგორც ისეთი ადამიანები, რომლებმაც „ბოროტგამზრახველობა" გამოიჩინეს, და მათ დააპატიმრებენ. ცნობაში აგრეთვე განმეორებულია წინანდელი განკარგულება იმის შესახებ, რომ პატრულს უფლება აქვს გაუფრთხილებლად ესროლოს იმ მოქალაქეთ, რომლებსაც ისინი გააჩერებენ და რომლებიც გაქცევას შეეცდებიან.

ფინეთის მინისტრი ფინეთის სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ

10 თებერვალს რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა ფინეთის მომარაგების მინისტრმა კოტილაინენმა. თავის სიტყვაში იგი შეჩერდა იმ ეკონომიურ სიძნელეებზე, რომლებსაც ამჟამად ფინეთი განიცდის. კოტილაინენმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად შემცირდა მარცვლეულის შემოტანა ბაზარზე. ამის გამო და იმის შედეგად, რომ ბევრი მიზეზით შეწყდა პურის შემოტანა საზღვარგარეთიდან, სახელმწიფოს დიდი ცენტრები სასურსათო სიძნელეებს განიცდიან.

შემდეგ კოტილაინენმა განაცხადა, რომ ფინეთი კიდევ უფრო მეტ სიძნელეებს განიცდის საკვების მხრივ. სახელმწიფოში მეცხოველეობის მდგომარეობა კატასტროფიულია. დასასრულ, ფინეთის მინისტრმა მოსახლეობას მოუწოდა ეკონომიურად ხარჯოს პროდუქტები, საქონელი და ნედლეული. (საქტესი).

მდგომარეობა ბირმა-ჩინეთის გზაზე

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, ბირმა-ჩინეთის გზაზე მოძრაობა ნორმალურად მიმდინარეობს, მიუხედავად იმისა, რომ ამ გზას თავს ესხმის იაპონიის ავიაცია. იაპონელებმა დააზიანეს მდინარე მეკონგის ორი ხიდი, რის შედეგადაც ჩინელები იძულებული გახდნენ მასალა და სურსათი ბორნით გადაეტანათ. 19 და 23 იანვარს იაპონიის ავიაციამ ძლიერ დააზიანა კიდევ ერთი ხიდი მაგრამ ჩინელებმა 24 საათის განმავლობაში ააშენეს პონტონის ხიდი და უზრუნველჰყვეს სატვირთო ავტოტრანსპორტის მოძრაობა. (საქტესი).

საომარი მოქმედება ჩინეთში

ცენტრალურ ჩინეთში. ხენანის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ჩინეთის ჯარმა, რომელიც სამხრეთისაკენ მიიწევს ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზის გასწვრივ, მიაღწია ჩანტაიგუანის სადგურს, სინიანის ჩრდილოეთით 10 კილომეტრზე, სადაც იაპონელთა ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. ჩინელებმა ბევრჯერ სცადეს აეღოთ სადგური, მაგრამ ვერ შესძლეს.

ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზის დასავლეთით ბრძოლა სწარმოებს ტუნბოს რაიონში, სინიანიდან 70 კილომეტრზე. ფრონტის ორივე უბანზე ორივე მხარე დიდად ზარალობს.

ჩრდილოეთ და სამხრეთ ჩინეთის ფრონტებზე არსებული მდგომარეობის შესახებ ცნობები მიღებული არ არის.

12 თებერვალი (საქტესი).

უცხოეთის ქრონიკა

⊙ ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, ინგლისის ესკადრა, რომელმაც 9 თებერვალს გენუას ყუმბარა დაუშინა, გიბრალტარს ჩავიდა.

⊙ ინგლისის ვაჭრობის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ უახლოეს იქვს თვეში მნიშვნელოვნად შემცირდება სხვადასხვა საქონლის შემოტანა ინგლისში. ბამბისა და აბრეშუმის შემოტანა შემცირებულია ომამდელი დროის 20 პროცენტამდე, ხოლო ხელოვნური აბრეშუმის შემოტანა—40 პროცენტამდე.

⊙ ბერნში (შვეიცარია) გამოქვეყნდა დეკრეტი, რომელიც უფლებას ანიჭებს მთავრობას სოფლიდან წასვლის ნება არ მისცეს სასოფლო-სამეურნეო მუშებს. დეკრეტის თანახმად, მთავრობას უფლება ეძლევა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოზე გაჰგზავნოს და არამნიშვნელოვან სამრეწველო საწარმოებიდან სოფლის მეურნეობის სამუშაოზე გადაიყვანოს მუშები.

⊙ ლონდონში მიღებული ცნობების თანახმად, გენერალი ფრანკო საგარეო საქმეთა მინისტრ სუნიერას თანხლებით მადრიდიდან საფრანგეთით გაემგზავრა იტალიაში, სადაც, როგორც აღნიშნავენ, იგი მუსოლინის შეხვდება.

ვიშში ადასტურებენ, რომ მოსალოდნელია პეტენის შეხვედრა ფრანკოსთან საფრანგეთის ერთ-ერთ სამხრეთ ქალაქში.

12 თებერვალი (საქტესი).

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 12 თებერვალი (საქდესი). გერმანიის სარდლობა იუწყება: გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა მტრის სავაჭრო გემები 21.500 ტონა საერთო წყალწყვისა. ზღვაში წარმოებული ოპერაციების დროს გერმანიის ყუმბარმშენებმა ჩასძირეს სავაჭრო გემი 7.000 ტონა წყალწყვისა. 11 თებერვალს დღისით მტრის ავიაცია შეეცადა შემოჭრილიყო ოკუპირებული საფრანგეთის სანაპიროზე, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ამასთან მტერმა 4 თვითმფრინავი დაჰკარგა.

11 თებერვალს ღამით მტერმა რამდენიმე ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუმბარა გადმოჰყარა ჩრდილოეთ-დასავლეთ და შუა გერმანიის ზოგიერთ ქალაქის საცხოვრებელ კვარტალებში. სამოქალაქო მოსახლეობიდან მოკლულია რამდენიმე კაცი. მატერიალური ზარალი დიდი არ არის.

გამოირკვა, რომ ინგლისის გემების ქარავანზე გერმანიის შორი მოქმედების ყუმბარმშენების თავდასხმის დროს, რის შესახებაც ცნობა 10 თებერვალს გამოქვეყნდა, ჩაძირულ იქნა მტრის 6 გემი 29.500 ტონა წყალწყვისა. დადასტურდა, რომ 10 თებერვალს ღამით გერმანიის ტერიტორიაზე მტრის თავდასხმის დროს, გუშინდელ ცნობაში აღნიშნული თვითმფრინავების გარდა, ჩამოგდებულია კიდევ მტრის 5 თვითმფრინავი. ამგვარად 10 თებერვალს დღისით და ღამით ინგლისელებმა 38 თვითმფრინავი დაჰკარგეს.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 12 თებერვალი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, დღეს დილა-ადრიან ლონდონში ხანმოკლე საჰაერო განგაში გამოცხადდა. მტერმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო, რამაც უმნიშვნელო ზარალი გამოიწვია.

11 თებერვალს ღამით ინგლისის ავიაცია წარმატებით დაესხა თავს ბრემენის, ჰანოვერისა და ჩრდილოეთ-დასავლეთ გერმანიის სხვა პუნქტების ობიექტებს. არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო, ეს ოპერაციები გაცილებით უფრო ნაკლები მასშტაბით სწარმოებდა, ვიდრე წინა ღამით.

გერმანიის შორსმსროლელმა არტილერიამ ინგლისის სანაპიროს დაუშინა

ბერლინი, 12 თებერვალი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობით, დღეს ნაშუადღევს გერმანიის შორსმსროლელმა არტილერიამ დაუშინა სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვან ობიექტებს, სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა გერმანიაზე

ლონდონი, 12 თებერვალი (საქდესი). რეიტერის სააგენტო აქვეყნებს ავიაციის სამინისტროს კომუნიკეს, რომელშიც ნათქვამია, რომ, ამინდის გაუარესების მიუხედავად, ინგლისის ყუმბარმშენთა შენაერთები და სანაპირო თავდაცვის ავიაცია 11 თებერვალს ღამით კვლავ დაესხა თავს გერმანიას და გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს ჰოლანდიაში, ნორვეგიასა და დანიაში. ყუმბარა დაუშინეთ სამრეწველო ობიექტებს ბრემენში, სადაც ხანძარი გაჩნდა და აფეთქება მოხდა. ინგლისის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა აგრეთვე ჰანოვერს, სადაც ჯერ კიდევ გრძელდებოდა 10 თებერვლის ღამის ბომბარდირებით გამოწვეული ხანძარი. როტერდამის რაიონში ნავთსაცავებისათვის ყუმბარების დაშენამ ძლიერი ხანძარი გამოიწვია. გუშინ საღამოს სანაპირო ავიაციის შენაერთები თავს დაესხნენ სავაჭრო ხომალდებს ქრისტიანსანდში (ნორვეგია) და ჰიდროთვითმფრინავების ბაზას იუტლანდიაში. გარდა ამისა, ჩრდილოეთ საფრანგეთის ტერიტორიაზე მოეწყო დიდძალი საპატრულო ფრენა. მტრის ავიაცია სუსტად მოქმედებდა. ყველა ამ ოპერაციებიდან თავის ბაზაში არ დაბრუნებულა ინგლისის სამი თვითმფრინავი, მათ შორის ორი ავიაგამანადგურებელი. დაბრუნებისას დაღუპული ყუმბარმშენის ეკიპაჟი გადარჩენილია.

ინგლისის პრესა გერმანიის შეჭრის შესაძლებლობის შესახებ

ლონდონი, 12 თებერვალი (საქდესი). ინგლისის გაზეთების უმრავლესობა თვალსაჩინო ადგილზე ათავსებს მოსახლეობისადმი გაფრთხილებას იმის გამო, რომ შესაძლებელია გერმანია შეეცადოს ინგლისში შეჭრას. გაზეთების მოწინავე სტატიები აღნიშნავენ, რომ, თუმცა უკანასკნელ თვეებში ინგლისის თავდაცვა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ ამან არავინ არ უნდა დაამშვიდოს. ზოგიერთი გაზეთი სამხედრო ექსპერტთა სტატიების სერიებს ათავსებს. ამ სტატიებში იხილავენ გერმანიის შესაძლო ტაქტიკას ინგლისის სანაპიროზე ჯარის გადასხმის დროს, აგრეთვე გერმანიის სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ძალთა შესაძლო ტაქტიკას. მთავრობას განზრახვა აქვს გამოსცეს სამოქალაქო მოსახლეობისათვის სპეციალური ინსტრუქციები, რომლებშიაც აღნიშნული იქნება — როგორ უნდა მოიქცეს მოსახლეობა იმ შემთხვევაში, თუ მტერმა ინგლისში შეჭრა სცადა. ბევრი გაზეთი შემდეგს რჩევას იძლევა: მოსახლეობა შეძლებისდაგვარად თავის სახლებში უნდა დარჩეს და არ ისარგებლოს გზებით; ვიდრე იგი თავის საცხოვრებელ ბინებს დასტოვებდეს, საჭიროა ელოდოს ინსტრუქციებს საპოლიციო ან სამხედრო ხელისუფალთაგან. საცხოვრებელი ბინის დატოვების წინ მოსახლეობამ თან უნდა წაიღოს ან მოსპოს სურსათის მთელი მარაგი და ის საგნები, რომლებიც შეიძლება მტერს გამოადგეს. საჭიროა აგრეთვე გამოიყვანონ მწყობრიდან მთელი არსებული სატრანსპორტო საშუალება. მოსახლეობას მუდამ თან უნდა ჰქონდეს აირწინაღები. მცხოვრებლებმა არავითარი ინფორმაცია არ უნდა მიაწოდონ უცნობ ადამიანებს. მოსახლეობამ ყური არ უნდა ათხოვოს გავრცელებულ ხმებს.

გერმანიის შემოჭრის შესაძლებლობის შესახებ კვლავ დაწყებულმა ლაპარაკმა ის გამოიწვია, რომ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპირო რაიონების ბევრი მცხოვრები სახელმწიფოს შუაგულისაკენ მიემგზავრება. მაგრამ ამ რაიონების ბევრი მუდმივი მცხოვრები, რომლებიც სახელმწიფოს შუაგულში იყვნენ ევაკუირებული გასული წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე, როდესაც შემოჭრის შესაძლებლობა უფრო რეალური იყო, ახლა თავის რაიონებში ბრუნდება. ამჟამად ხელისუფალნი მცხოვრებთ არ უშლიან, რომ ისინი ერთი რაიონიდან მეორეში გადავიდნენ.

იტალიის ცნობები ინგლისის ავიაციის ზარალის შესახებ

ბერლინი, 13 თებერვალი (საქდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, გაზეთი „ჯორნალე დ'იტალია", აჯამებს რა ინგლისის ავიაციის უკანასკნელი 4 დღის ზარალს, სწერს, რომ იტალიელებმა მოსპეს მტრის 74 თვითმფრინავი, აქედან 33 თვითმფრინავი—მიწაზე.

ავსტრალიის ყუმბარმშენების გადაყვანა მალაიაში

ნიუ-იორკი, 13 თებერვალი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს სინგაპურელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ავსტრალიის სამხედრო-საჰაერო ძალების ყუმბარმშენები გადაყვანილია მალაიაში ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გასაძლიერებლად.

ჰელმა მიიღო ნომურა

ტოკიო, 13 თებერვალი (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს: „იაპონიის ახალი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ადმირალი ნომურა გუშინ მოკლე ხნით ოფიციალურად ეწვია ამერიკის შეერთებულ შტატების სახელმწიფო მდივანს ჰელს. ჰელთან საუბარი სულ 5 წუთს გრძელდებოდა. იაპონიის ელჩი რუზველტს რწმუნების სიგელებს გადასცემს 13 ან 14 თებერვალს".

მარშალი პეტენი კან-სიურ-მერში ჩავიდა

კლერმონ-ფერანი, 13 თებერვალი (საქდესი). როგორც ოფის სააგენტო (ჰავასი) იუწყება, გუშინ, დილის 8 საათზე, მარშალი პეტენი სპეციალური მატარებლით ჩავიდა კან-სიურ მერში (საფრანგეთის რივიერა). მან ინახულა თავისი მამული ვილნევლუბეში, რომელიც ნიციდან 15 კილომეტრზე მდებარეობს.

იტალიელ მუშათა გაგზავნა გერმანიაში

რომი, 12 თებერვალი (საქდესი). ამ დღეებში დამთავრდა იტალია-გერმანიის მოლაპარაკება გერმანიაში იტალიელი მუშების გაგზავნის შესახებ. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „პოპოლო დი რომა" იუწყება, რომ ამჟამად გერმანიაში 60 ათასი იტალიელი მუშაობს. ახალი შეთანხმების მიხედვით, უახლოეს ხანში გერმანიაში გაიგზავნება სულ ცოტა 204 ათასი კაცი, რომლებიც მოკრებილ იქნებიან მეტალურგიულ და მექანიკურ საწარმოთა მუშებიდან. როგორც გაზეთი აღნიშნავს, ეს ზიანს არ მიაყენებს იტალიის მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეს, ვინაიდან გადიდებული იქნება სამუშაო დღე. ამრიგად, რამდენიმე კვირის შემდეგ იტალიელი მუშების რიცხვი გერმანიაში 264 ათას კაცს მიაღწევს. ამავე დროს გერმანიაში იგზავნებიან სასოფლო-სამეურნეო მუშებიც.

საბერძნეთ-იტალიის ომი

ლონდონი, 12 თებერვალი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ იტალიელთა 11 თებერვლის კონტრშეტევები ამაო აღმოჩნდა. პოგრადეცის ჩრდილოეთით იტალიელები ცდილობდნენ კვლავ დაეკავებინათ წინადღით მათ მიერ დატოვებული სტრატეგიული მაღლობები, მაგრამ ისინი უკუაქციეს. მოგერიებულია სხვა კონტრიერიშებიც ოსტროვიცეს მთისა და მდინარე დევოლის ხეობის სექტორში. კლისურასა და ტეპელენეს შორის 11 თებერვალს გარიჟრაჟზე დაწყებული კონტრიერიში შეჩერებულ იქნა, და ბერძნებმა წინ წაიწიეს დაახლოებით 5 კილომეტრით. ფრონტის ჩრდილოეთ სექტორში, მოსკოპოლესთან ბერძნები ტერიტორიებს სწმენდნენ მტრისაგან. ფრონტის განაპირა ჩრდილოეთ უბანზე მთელი დღის განმავლობაში გააფთრებული საარტილერიო ბრძოლა იყო. ამჟამად არტილერია ძლიერ უშენს პოგრადეცის ჩრდილოეთით მდებარე მთელს რაიონს. ბერძნების არტილერია აქტიურად მოქმედებდა მდინარე შკუმბის სათავეებთანაც. შკუმბასა და ელბასანს შორის მდებარე გზაზე იტალიელთა ჯარის ნაწილების მნიშვნელოვანი მოძრაობაა. იტალიელები აფართოებენ ავიაციის, განსაკუთრებით ყუმბარმშენთა მოქმედებას. 11 თებერვალს ხუთ-ხუთი ყუმბარმშენისაგან შემდგარმა ორმა რაზმმა ყუმბარა დაუშინა ფლორინას. მეორე თავდასხმის დროს ბერძნების საზენიტო არტილერიამ იტალიის ორი თვითმფრინავი ჩამოაგდო.

საომარი მოქმედება ალბანეთში

ათენი, 12 თებერვალი (საქდესი). საბერძნეთის სარდლობამ გუშინ საღამოს შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: „ფრონტზე მზვერავი რაზმებისა და არტილერიის სუსტი მოქმედება იყო. საბერძნეთის ავიაციამ მტრის ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდო".

საბერძნეთის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 11 თებერვალს მტერი რამდენჯერმე დაესხა თავს საბერძნეთის შიდა რაიონებს. პრევეზაში ზარალი უმნიშვნელოა. სამოქალაქო მოსახლეობაში მსხვერპლი დიდი არ არის. მტერი თავს დაესხა აგრეთვე ლარისას, მსხვერპლი უმნიშვნელოა; დაინგრა რამდენიმე შენობა. კორინთის რაიონსა და კრეტას კუნძულზე მომხდარ თავდასხმას არც მსხვერპლი მოჰყოლია, არც ნგრევა.

გაზეთი „კატიმერინი" იუწყება, რომ საბერძნეთის ჯარი უშუალოდ მიუახლოვდა მტრის ჯარის ნაწილებს ფრონტის მთელ მანძილზე. ბერძნების წინსვლის შეჩერების მიზნით, მტერმა ავიაცია გამოიყენა.

გაზეთი „ელეფთერონ ვიმა" იუწყება, რომ ჩრდილოეთის ფრონტზე ბერძნებმა ახალი პოზიციები დაიკავეს თოვლიან მწვერვალებზე, რომელთა სიმაღლე 2 ათას მეტრს აღემატება.

ნიუ-იორკი, 12 თებერვალი (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, ბერძნებმა მოიგერიეს იტალიის თვითმფრინავთა იერიში საბერძნეთის პოზიციებზე ტეპელენეს სექტორში. ფრონტის ჩრდილოეთ ნაწილში ბერძნებმა მოულოდნელი იერიშით აიძულეს იტალიელები დაეტოვებინათ თავიანთი პოზიციები ერთერთ მაღლობზე. იტალიელებმა დიდი ზარალი ნახეს.

იტალიელებს მაშველი ძალები მოჰყავთ ფრონტის ცენტრალურ სექტორში. ბერძნები ამტკიცებენ, რომ მათ იტალიელთა მასობრივი იერიშები მოიგერიეს. იუწყებიან, რომ ბერძნები თითქმის გარს შემოერტყნენ ტეპელენეს.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, ინგლისისა და საბერძნეთის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ვალონას. საბერძნეთის ჯარმა სანაპიროს გასწვრივ წაიწია წინ და ამჟამად ვალონიდან 11 კილომეტრზე იმყოფება. საბერძნეთის ჯარი, რომელიც ტეპელენე-ვალონის გზით მიიწევს, ვალონიდან 24 კილომეტრზე იმყოფება.

ომი აფრიკაში

ლონდონი, 12 თებერვალი (საქდესი). რეიტერის სააგენტო ნაირობიდან გადმოგვცემს გუშინ საღამოს იქ გამოქვეყნებულ ოფიციალურ კომუნიკეს, რომელშიც ნათქვამია, რომ სამხრეთ-აფრიკის ჯარის მეწინავე ნაწილებმა დაიკავეს სოფელი ტოდინიაკი და იტალიელთა მეწინავე საგუშაგო ნამარაპუტი (რუდოლფის ტბის ჩრდილოეთ სანაპიროზე).

ლონდონი, 12 თებერვალი (საქდესი). რეიტერის სააგენტო კაიროდან გადმოგვცემს ინგლისის ახლო აღმოსავლეთის სარდლობის შემდეგს ცნობას: „ერიტრეის ჩრდილოეთ ნაწილში მოქმედმა ინგლისელთა ჯარის ნაწილებმა ელ-გჰენი დაიკავეს. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და იარაღი. წარმატებით ვითარდება ოპერაციები კერენის რაიონში. კერენის სამხრეთით მომქმედმა კოლონამ მტრის ტერიტორიაზე წაიწია და ამასთანავე ხელთ იგდო ან მოსპო იტალიელთა 80 ზარბაზანი. სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია".

კადრი ფილმიდან „სუვოროვი".

„სუვოროვი"

(კინოსტუდიის „მოსფილმის" გამოშვება, სცენარი გ. გრებნერისა, რეჟისორები — ვ. პუდოვკინი, მ. დოლერი)

რუსეთის გამოჩენილი სარდლის ა. ვ. სუვოროვის სახელი მთელ მსოფლიოშია ცნობილი. მისი სარდლობით რუსეთის არმიამ მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვებები: ტურტუკაი, კინბურნი, ოჩაკოვი, იზმაილი, ფოკშანი, რიმნიკი, კრაკოვი, პრაღა, ვარშავა, ტრებია, ნოვი, სენ-გოტარდი და ეშმაკის ხიდი შვეიცარიაში — აი სუვოროვის შესანიშნავ გამარჯვებათა არასრული სია. თითქმის 150 წელია გავიდა სუვოროვის გარდაცვალების შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში სამხედრო საქმეში. მაგრამ ბევრ რამეში სუვოროვის სამხედრო ხელოვნებიდან, მისი ტაქტიკიდან ახლაც აქვს მნიშვნელობა. მთავარი კი ის არის, რომ სუვოროვი თავდადებული, ერთგული შვილი იყო სამშობლოსი, სჯეროდა თავისი ხალხის ძალა და, დიდი ნებისყოფით, გმირობით, სამხედრო საქმის ცოდნით აღჭურვილი, იგი ზრდიდა მასებში სამშობლოს სიყვარულის მაღალ გრძნობებს. ამიტომ არის ჩვენთვის საყვარელი სახელგანთქმული სარდლის სახელი, ამიტომ გვაინტერესებს ჩვენ მისი მდიდარი ცხოვრება და საქმენი საგმირონი.

ფილმი „სუვოროვი" მოგვითხრობს დიდი სარდლის უკანასკნელ ბრძოლებზე — იტალიის და შვეიცარიის კამპანიებზე. გათავდა ეკატერინეს დროის ბრძოლები. ტახტზე ავიდა ეკატერინეს შვილი პავლე პირველი. მდგომარეობა დაუყონებლივ შეიცვალა. მეფე და დრომოჭმული სამხედრო წესდება, რომელიც სუვოროვის მეოხებით 30 წლის წინათ გააუქმეს, კვლავ აღსდგა მკვდრეთით. ჯარისკაცებს პარიკები გაუკეთეს, ვიწრო ტანსაცმელი ჩააცვეს და პრუსიული წესით წრთვნიდნენ. სუვოროვი ებრძოდა ამ უგუნურ რეფორმებს, მაგრამ მეფემ არ დაუჯერა, განრისხდა და სოფელში გადაასახლა.

გავიდა ორიოდე წელი. საფრანგეთის რესპუბლიკამ დაამარცხა თავისი მტრები. ასპარეზზე გამოჩნდა ნაპოლეონი, რომელსაც ევროპაში ყველაზე ძლიერი ჯარი ჰყავდა. რუსეთის მოკავშირეები ინგლისი და ავსტრია საფრთხეში ჩავარდნენ. ვინ შეებრძოლებოდა ნაპოლეონს? მხოლოდ სუვოროვი. იმპერატორმა პავლემ მოკავშირეთა კატეგორიული მოთხოვნით მთავარსარდლად დანიშნა მოხუცი სარდალი.

დაიწყო სუვოროვის სახელგანთქმული ლაშქრობა იტალიასა და შვეიცარიაში. სუვოროვი თვით ნაპოლეონს არ შეხვედრია, მაგრამ მისი სახელგანთქმული გენერლები სასტიკად დაამარცხა და მთელი იტალია გაანთავისუფლა. ავსტრიის სარდლობას შეშინდა სუვოროვის ბრწყინვალე გამარჯვებისა და რუსის ჯარი შვეიცარიაში გაგზავნა, ვითომდა მეორე რუსი სარდლის რიმსკი-კორსაკოვის ჯართან შესაერთებლად. შვეიცარიაში უნდა განადგურებულიყო სუვოროვის არმია, მაგრამ სენ-გოტარდთან მოხუცმა სარდალმა სასტიკად დაამარცხა ფრანგების მრავალრიცხოვანი ჯარი და ავსტრიელების ღალატით ჩიხში მომწყვდეულმა ლეგენდარული მარშით გაიარა ეშმაკის ხიდი, გადაარჩინა თორმეტიათასიანი ჯარი, რომლის წინააღმდეგ ფრანგების 75 ათასიანი ჯარი იდგა.

ფილმი დიდი ოსტატობით არის გაკეთებული. შვეიცარიის სცენები, გადაღებული კავკასიონის ქედზე, სუვოროვის ლეგენდარული ლაშქრობის სრულ ილუზიას ჰქმნის. თვით სუვოროვის როლს შესანიშნავად ასრულებს ნ. ჩერკასოვი. ეკრანზეა ნამდვილი სუვოროვი, როგორც წარმოგვიდგენია იგი ისტორიული საბუთების მიხედვით. მახვილი მხატვრული დამაჯერებლობით გადმოგვცემს სუვოროვის თვისებებს — უბრალოებას, ჯარისკაცებთან მეგობრობას, ირონიულ, მტრულ დამოკიდებულებას მეფის ბიუროკრატიისადმი, მაღალ პრინციპულობას, დიდ ნებისყოფას, ვაჟკაცობას, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულს.

„სუვოროვი" საბჭოთა კინოხელოვნების გამარჯვებაა. მაყურებელი დიდი ინტერესით ნახავს ამ შესანიშნავ ფილმს.

გ. ნ.

საბჭოთა კავშირის გმირისა და მარშლის ამხანაგ ტიმოშენკოს სახელობის კროსი

დღის საუცხოო ამინდი დაიჭირა. ზამთრის მზე სხივებს მოჰფენდა მთებს, რომელთა მწვერვალები თოვლით არის დაფარული.

ჯერ კიდევ ადრეა, მაგრამ ნაწილში უკვე დიდი მუშაობაა გაჩაღებული. დღეს ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის № ნაწილში დანიშნულია საბჭოთა კავშირის გმირისა და მარშლის ამხანაგ ტიმოშენკოს სახელობის ქვეითი კროსის სტარტი. სწარმოებს უკანასკნელი მზადება: მებრძოლები ამოწმებენ ფეხსაცმელს, თოფებს, სალაშქრო აღჭურვილობას. მებრძოლები — წითელარმიელები მღერიან სიმღერებს დიად სტალინზე, შესანიშნავ სამშობლოზე.

ნაწილში შესასვლელთან შემაგრებულია ორი ბაირაღი — ეს კროსის სტარტია. აქვეა მსაჯთა კომისია.

სრულ 9 საათსა და 30 წუთზე იწყება სტარტი. ერთი დანაყოფი მეორეს მისდევს მცირე ინტერვალის შემდეგ. მებრძოლები მიდიან საბრძოლო საჭურველით. ერთი საათის შემდეგ კროსის მონაწილენი პატარა მდინარეს მიადგნენ. მაგრამ წყალი მებრძოლებს ამას სრულებით არ შეუფერხებია, ისინი მხნედ, სიმღერებით გადადიოდნენ ფონს და განაგრძეს სახელოვანი ლაშქრობა.

გადასვლის მეათე კილომეტრზე მოეწყო დასვენება, რის შემდეგ მებრძოლები კვლავ გაუდგნენ გზას.

ფინიშთან კროსის მონაწილეებს შეხვდა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ს. პ. დენისოვი. იგი მიესალმა მებრძოლებს და მიულოცა კროსის დამთავრება.

კარგ შედეგებს მიაღწია დანაყოფმა, რომლის მეთაური იყო უფროსი ლეიტენანტი ა. სულაძე. 35 კილომეტრი მისმა დანაყოფმა 6 საათში გაიარა.

ფინიშთან მიდის დანაყოფი უფროსი ლეიტენანტის ამხ. ა. შალაგინის მეთაურობით. გაისმის ბრძანება: რაზმეულო, სდექ!.. უფროსი ლეიტენანტი ა. შალაგინი მიდის ორგზის საბჭოთა კავშირის გმირ ამხ. დენისოვთან და უპატაკებს: გავლილია 35 კილომეტრი, მებრძოლები ჯანსაღად არიან, ყველანი მოვიდნენ ფინიშთან.

— საუცხოოა! — ამბობს ამხ. დენისოვი. — გიცხადებთ მადლობას წარმატებით შესრულებული ლაშქრობისათვის.

მალე ყველა მონაწილე მივიდა ფინიშთან. ნაწილში მათ ელოდა სადილი. სადილობის შემდეგ მებრძოლებმა დაისვენეს.

უფრო გვიან შესდგა მსაჯთა კოლეგიის სხდომა, რომელზეც კროსის შედეგები შეაჯამა ამხ. კამინსკიმ.

მზე მთებს მიეფარა, ჩამოწვა ბინდი. გაისმოდა წითელარმიელთა მხნე სიმღერა.

ვლ. გინზბურგი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემები

ნახევარი წელიწადია, რაც მუშაობა დაიწყო „რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა". მისი კვლევა-ძიებითი მუშაობა მიზნად ისახავს, სხვათა შორის, ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოვლინებასა და ათვისებას. ამ მიმართულებით უკვე საკმაოდ ინტენსიური მუშაობაა ჩატარებული. ინსტიტუტმა მიიღო საჭირო ქაღალდი და მიმდინარე წელს ამზადებს გამოსაცემად ხუთ შრომას. ამათგან ორი ნაშრომი, ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად, ამ დღეებში გადაეცემა სტამბას; ესენია: „სპეკალი", ორიგინალური ფილოსოფიური ნაშრომი მეთვრამეტე საუკუნისა, და „ქართული ლირიკა გარდამავალი ხანისა (18-19 ს. ს.)".

მარტში გამომცემლობას ჩაბარდება ორი ნაშრომი: „ვეფხის-ტყაოსნის ჩანართი და დანართი სტროფები", რომლებიც 1937 წლის აკადემიურ გამოცემაში არ შესულან, და „ქართული ზღაპრების" მესამე ტომი.

მაისისათვის გადაცემული იქნება მერვე საუკუნეში გადმოთარგმნილი თხზულება „საბას ცხოვრება", რომელიც ნათელსა ჰფენს ქართველთა საზღვარგარეთული კულტურულ-ლიტერატურული მუშაობის არეს მეექვსე საუკუნეში.

ამათ გარდა გამოიცემა კრებული ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ დამუშავებული ცალკეული პრობლემებისა.

გამოფენა ფოთში

ქალაქის პარტიული განათლების სახლისა და ნავსადგურის პარტკაბინეტში ეწყობა საქართველოს ისტორიული წარსულისა და ორდენოსანი რესპუბლიკის არსებობის ოცი წლის მანძილზე მოპოვებულ მიღწევათა შესახებ ლიტერატურის გამოფენა.

აგიტატორები მოაწყობენ საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საუბრებს. კარგი ინიციატივა გამოიჩინა ქალაქის გაზეთის „მეზღვაური კოლხიდელის" რედაქციამ. აგიტატორთა და მომხსენებელთა დასახმარებლად იგი ძასალას ბეჭდავს საბჭოთა ხელისუფლების 20 წლის მანძილზე ქალაქ ფოთისა და კოლხეთის მიღწევათა შესახებ.

საიუბილეო დღეებში კოლხეთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში სპეციალური გამოფენა გაიხსნება, რომელიც დაგვიხატავს ფოთისა და კოლხეთის წარსულსა და დღევანდლობას. (საქდესი).

საკავშირო-საქართველოს მეოთხე საჭადრაკო ჩემპიონატი

მეხუთე ტური

ბრძოლა საქართველოს ჩემპიონის საპატიო სახელის მოსაპოვებლად თანდათან მწვავე ხასიათს ღებულობს. გუშინ, მაესტრო მაკაგონოვმა კარგად გამოიყენა გაჩეჩილაძის მიერ შუა თამაშში დაშვებული შეცდომა და მალე აიძულა იგი დაეთმო პარტია.

მეტად მწვავედ მიმდინარეობდა კასპარიან — ცინცაძის პარტია, რომელიც პირველმა მოიგო.

მიქენაძემ ხოტელაშვილთან დებიუტიდან მიღებული უპირატესობა კარგად გამოიყენა. მან პარტია გადაიყვანა ხელსაყრელ ენდშპილში, რომელიც დიდი ოსტატობით ჩაატარა და მიაღწია გამარჯვებას. ყაიმით დამთავრდა ვეიზერ-გოგელიძის პარტია.

თომაშვილმა კარგად ჩაატარა მთელი პარტია და მოუგო მირზაევს. ნერსესოვმა მოგებულ მდგომარეობაში შესთავაზა ყაიმი ლებედევს, რაზედაც იგი დასთანხმდა.

პირველი დამარცხება განიცადა ქიათურის მოჭადრაკემ მ. ტარსაიძემ, რომელიც ამ საღამოს ეთამაშებოდა შიშოვს.

გადაიდო სამი პარტია: ფირცხალავა—ფალავანდიშვილისა, სოროკინ — მედვედევისა და ებრალიძე — გამრეკელისა პირველთათვის უკეთეს მდგომარეობაში.

დღეს შესდგება გადადებული პარტიების გათამაშება.

შ. ცინცაძე

ბროშურა „როგორ მოვიყვანე ჰექტარზე 1.200 ცენტნერი შაქრის ჭარხალი"

გორი („კომუნისტის" კორ.). გაზეთ „სტალინელის" რედაქციამ გამოსცა კასპის რაიონის სოფელ რვაველიჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეჭარხლეთა რგოლის ცნობილი ხელმძღვანელის ამხ. სოფიო ქეთიშვილის ბროშურა „როგორ მოვიყვანე ჰექტარზე 1.200 ცენტნერი შაქრის ჭარხალი".

ბროშურა, რომელშიაც აღწერილია მეჭარხლეთა მოწინავე რგოლის მუშაობის გამოცდილება, ს. ქეთიშვილმა და „სტალინელის" რედაქციამ მიუძღვნეს საკ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციას.

ს. უურაშვილი.

რადიოგადაცემა დღეს

9.00 — გაზ. „პრავდის" მოწინავე; 9.15 — რადიოგადაცემათა პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; 9.25 — კონცერტი: პროგრამაშია ყაზახური, უზბეკური და ტაჯიკური სიმღერები; 10.00 — სტატიები გაზეთებიდან; 11.30 — თბილისის ახალი ამბები, ქართულ და რუსულ ენებზე; 12.00 — კონცერტი კომპოზიტორების — ბალაკირევის, მუსორგსკის და ბოროდინის ნაწარმოებებიდან; 12.45 — საუბარი ქართულ ენაზე — „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სწავლება ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში; 13.15 — კონცერტი საკავშირო ლაურეატების შესრულებით; 14.00 — პოეტები მიკროფონთან, ტრანსლაცია მოსკოვიდან; 14.15 — თექვსმეტი მოკავშირე რესპუბლიკის ხალხთა სიმღერები და ცეკვები, ტრანსლაცია მოსკოვიდან; 17.00 — გადაცემა პიონერთა და მოსწავლეთათვის, რადიოპიესა: „აფხაზეთის მთებში"; 18.30 — უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება ქართულ და რუსულ ენებზე; 20.30 — XVIII პარტიული კონფერენციისადმი მიძღვნილი გაცვლითი კონცერტი ყაზახეთისა და საქართველოს რადიოკომიტეტებს შორის (ალმა-ატა—თბილისი); 00.30 — უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება, ტრანსლაცია მოსკოვიდან.

ლექციები და მოხსენებები

14 თებერვალს, საღამოს 9 საათზე, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის სალექციო დარბაზში შესდგება პროფ. **ტალახაძის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„ენგელსის წიგნი „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა".**

ბილეთების მიღება შეიძლება თილიალის სალაროში (რუსთაველის პროსპ., 33/35) დღის 1 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

14 თებერვალს, საღამოს 8 საათზე მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის მწერალთა კავშირის ფილიალში (მწერალთა სასახლე) შესდგება მორიგი მეცადინეობა. ამხ. **ს. სიმონგულოვი** წაიკითხავს ლექციას საკ. კ. პ. (ბ) ისტორიიდან.

14 თებერვალს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში მომხსენებელთათვის შესდგება ბატალიონის კომისრის ამხ. **ა. ზნაურიანის** საინსტრუქციო მოხსენება რუსულ ენაზე. თემა: **„მუშურ-გლეხური წითელი არმიის 23 წლისთავი".**

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ყაზბეგის რაიკომი აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 3078849, გაცემული რაფიელ ვასილის-ძე **გომიაშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომი აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 1674185, გაცემული გრიგოლ ირაკლის-ძე **კირტაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: მუსკომედია — „საჯარათი", **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — „ნაცარქექია" (მე-2 აბ.), **გრიბოედოვის სახელობის** — „დედინაცვალი", **სომხური დრამა** — „ნამუსი", **სახესტრადო** — „როზ-მარი".

კინოებში: **რუსთაველის სახ.** — „სუვოროვი", **დღისით** — „მშვენიერი ვასილისა", **დამკვრელი** — „სუვოროვი", **დღისით** — „ტომ სოიერი", **ოქტომბერი** — „სიცოცხლის ფასი", **კომკავშირელი** — „წმინდა იორგენის დღესასწაული", **ლუქსემბურგის სახ.** — „ორიოლის" და „ღუპავა", **სპარტაკი** — „კატერინა", **26 კომ. სახ.** — „სუვოროვი", **კომინტერნი** — „მიტკა ლელიუკი", **განთიადი** — „დალუპული გემის საუნჯე", **წითელი არმიის სახლი** — „მუსიკალური ისტორია", **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „ტორჰვალი თეძმი", **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „ჩემი სიყვარული", **მეცნიერება და ცოდნა** — „აკადემიკოსი პავლოვი".

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

15 თებერვალს მე-9 აბ. მე-6 წარმ.	16 თებერვალს მე-10 აბ. მე-6 წარმ.
ევგენი ონეგინი	აბესალომ და ეთერი

დასაწყისი საღამოს 8 ს.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი.

14 თებერვალს	15 და 16 თებერვალს
გიორგი სააკაძე	ლალაჩი

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

ანონსი ხ. კლდიაშვილი „უკანასკნელი რაინდი"

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი
14 თებერვალს
მარგარიტა გოტიე
15 თებერვალს
სერია 1 აბ. მე-6 წარმ.
ჩაჭეხილი ხიდი
დასაწყისი საღ. 8 ს. და 30 წ.

აფხაზეთის კურორტ ჰყიდის
ძეხვების საწარმოს მოწყობილობას ხელსაყრელ პირობებში.
მიმართეთ: ქ. სოხუმი, ენგელსის, 9. დირექცია.

ექიმი კონსტრუმენიკი
თმის მკურნალობა და კოსმეტიკა
ელბაქიძის დაღმართი № 21
ბუწუკების, ლაქების, თმისცვენის მკურნალობა, ნაჭრილობევის, ხალების და პირის კანის სხვა ნაკლოვანებათა მოშორება. რადიოაქტიური და სხვა სამკურნალო ნიღბები. მიღება 12-დან 3 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე.

შვილები ბენო, მიხაკო, ქსენია, სიძე გედევან ლომინეიშვილი, რძლები მარუსია, ლუბა შვილებით იუწყებიან **ამინე ახალაძე-დოლიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16/II ს. საყვავისტყეში (ჩოხატაურის რ.). 10763

თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს შინაგან სნეულებათა კლინიკის ექიმები იუწყებიან **კლიმენტი დავითის-ძე ერისთავის** გარდაცვალებას. 10752

მშობლები დიომიდე, სონა, და თამარ, ძმები სერგო, მიხეილ იუწყებიან **სტეფანე დიომიდეს-ძე გოგუაძის** გარდაცვალებას. 10757

მშობლები თეკლე, ირაკლი, და მარგარიტა, სიძე ვლასი ცხადაძე შვილით გივიკოთი იუწყებიან **ალექსანდრე ირაკლის-ძე არაბიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16/II ქ. ზესტაფონში. გამოსვენება წერეთლის, 8. 10758

ქმარი ვახტანგ მშობლებით, მაზლები დათიკო, ალექსანდრე ცოლშვილით ნანობაშვილები, მულები ანიჩკა, ელიკო, სონია ქმარშვილით იუწყებიან **ეთერ ცომაია-ნანობაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ბაქოში. 10760

სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან **მარიამ ქეცხოველის** გარდაცვალებას. 10671

ქმარი ფრიდონ, შვილები იასონ, მალვა, სევერიანე, აკაკი, რძლები ანიჩკა, მარო, მაგდან, ლიდა, შვილიშვილები იუწყებიან **თასინე ჟღენტი-ცინცაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15/II 7 ს. გამოსვენება 16/II 4 ს. ამოს, 11. 10765

შვილები ჯიმშერ, კოტე, ანტიფო, თამარ, რძლები ტერეზა, მარუსია, საშა შვილებით იუწყებიან **მინა ძერძაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15/II 7 ს. გამოსვენება 16/II 3 ს. ორჯონიკიძის, 7, კუკიის სასაფლაოზე. 10767

თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს შინაგან სნეულებათა კლინიკის ექიმები იუწყებიან **გიორგი დარჩიაშვილის** გარდაცვალებას. 10752

ბიძები ვასილ, ისიდორე ცოლით ივლიტათი, შვილებით შალვათი, შოთათი, ზურაბით იუწყებიან **გრიგოლ არსენის-ძე მოდებაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15/II 7 ს. გამოსვენება 16/II 3 ს. 1 მაისის, 21, კუკიის სასაფლაოზე. 10756

ცოლი სოფიო, ცოლისძმა პავლე, ძმა ნიკოლოზ ცოლშვილით, რძლით, სიძით, შვილიშვილებით, რძალი ლიდია იუწყებიან **ვასილ გაბრიელის-ძე ფურცელაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15/II 7 ს. ლერმონტოვის, 24, დაკრძალვა 16/II 1 ს. 10762

ექიმები ხურციძე, დავიდოვი, ქურციკიძე, გამცემლიძე, ჩუბინიძე, გრძელიშვილი, მაკარიძე, დუგლაძე, გიგიძე, კოჰაშვილი, აგასოვი, სიჭინავა, მანჯავიძე, მუჯირი იუწყებიან **კლიმენტი დავითის-ძე ერისთავის** გარდაცვალებას. 10720

მშობლები ნინო და ვანო, პაპა სანდრო და გიორგი შოთაშვილები ცოლშვილით იუწყებიან **ნელი შოთაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15/II 7 ს. ბროსეს, 4, დაკრძალვა 16/II 4 ს. 10766

მშობლები მარგო, გრიშა, ძმა მიშიკო, და ნელი გურგენიძეები იუწყებიან, რომ 16/II 4 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია პატარა **ლიანას (ფ ი ს ო)** სამოქალაქო პანაშვიდი. 10759

მეუღლე მარო მუჩაიძე დედით ნატალიათი, შვილები ბორის, რეზიკო ფარცხალაძეები იუწყებიან **ვანიჩკა მიხეილის-ძე ფარცხალაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 10764

მშობლები ივანე, მანანა, ქმარი ვალოდია, ძმა რომან იუწყებიან, რომ 16/II 1 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია **მარსელა გარსევანიშვილი-რიაზანცევას** სამოქალაქო პანაშვიდი. 10761

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის — 3—62—26; პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის — 3—81—84; ... — 3—73—24; ... და განათლება-ჯანმრთელობის—3 — 80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის — 3—80—84; სამხედროსი — 3—57—61; წერილების — 3—81—65; გამომცემლობის — 3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ., № 28. 1 უე 8877